www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 24 ოქტომბერი, 2013 წელი. | №3342 (199) | ფასი 50

საქართველომ სხვათა შეცდომებზე უნდა ისწავლოს



პოლონეთისა და შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა რადოსლავ სიკორსკიმ და კარლ ბილდტმა საქართველოში მაღალი რანგის შეხვედრები გამართეს. სიკორსკი და ბილდტი საქართველოში «აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რეგიონული ტურნეს ფარგლებში იმყოფებოდნენ. საქართველოში ჩამოსვლამდე ისინი უკრაინასა და მოლდავეთს ეწვივნენ. სწორედ პოლონეთისა და შვედეთის ინიციატივით ჩამოყალიბდა ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის» ინიციატივა.

საგარეო საქმეთა მინისტრებს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ბიზნეს-ცენტრში დილიდანვე უმასპინძლა.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

სოზარ სუბარი: ამ ტერაქტს დამკვეთი ჰყავს

ხურჩის ინციდენტში ბრალდებულ შსს-ს ყოფილ ორ მაღალჩინოსანს რომან შამათავას და მალხაზ მურღულიას ტერორიზმში ბრალი ოფიციალურად წაუყენეს. დაკავებულების ადვოკატ გოგა ონიანის შეფასებით, ეს ბრალდება აბსურდულია. მისივე თქმით, დაცვის მხარისთვის მტკიცებულებები არ გადაუციათ, რადგან აცხადებენ, რომ მტკიცებულებები მზად არ არის.

ადვოკატები გუშინ ე.წ. მოდულის შენობაში სამი საათის მანძილზე იმყოფებოდნენ.

„მალხაზ მურღულიას ბრალი წაუყენეს სსკ 323-ე მუხლის მე-3 ნაწილით ანუ ტერორიტული აქტის ჩადენაში. იგი წარდგენილ ბრალდებაში თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს, ამგვარი ბრალის წაყენება სამარცხვინოდაც კი მიაჩნია და, რა თქმა უნდა, უდანაშაულობის დასამტკიცებლად ბოლომდე იბრძოლებს,“ - აღნიშნა მურღულიას ადვოკატმა დარეჯან გელაშვილმა.

რომან შამათავას ადვოკატ გოგა ონიანის ინფორმაციით, ბრალდებულები თავს დამნაშავედ არ ცნობენ და აცხადებენ, რომ საკუთარ სიმართლეს დაამტკიცებენ.

ადვოკატის თქმით, დაკავებულებმა საკუთარ ჩვენებაში განაცხადეს, რომ მათთვის წაყენებული ბრალი აბსურდული და შეურაცხმყოფელია.

ამასთან, როგორც ონიანმა აღიშნა, დაკავებულებმა უვადო შიმშილობა გამოაცხადეს.

„ბრალი ტერორიზმის მუხლით წაუყენეს. ხელისუფლება საზოგადოებას ალბათ ვეღარაფრით გააკვირვებს. ერთადერთი რამ დარჩა - დიდი შანსია, რომ საბოლოო ჯამში გეორგიევსკის ტრაქტატის დარღვევაც ქართულ მხარეს დააბრალონ. ცოტა სერიოზულად თუ შევხედავთ, ეს აბსურდია.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

ევროპარლამენტმა ვანო მერაბიშვილი პოლიტპატიმრად არ აღიარა

გუშინ ევროპარლამენტმა საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის მიერ ინიცირებული რეზოლუციის პროექტი დაამტკიცა. დამტკიცებული რეზოლუცია - „ევროპის სამეზობლო პოლიტიკის შესახებ: პარტნიორობის გაძლიერებისკენ,“ - საქართველოს, როგორც ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში ჩართულ ქვეყანასაც ეხება. ევროპარლამენტარები განსაკუთრებულ იმედებს «აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ვილნიუსის სამიტს უკავშირებენ.

რეზოლუციის 39-ე პუნქტში, კომიტეტის პროექტისგან განსხვავებით, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი პოლიტპატიმრად არ არის შეფასებული.

რეზოლუციაში მერაბიშვილი სხვა კონტექსტში მოხვდა. როგორც მიღებულ დოკუმენტშია მითითებული, ევროპარლამენტი სისხლის სამართლის საქმის პროცესების გამჭვირვალობის უზრუნველყოფას საჭიროდ მიიჩნევს. ამასთან, რეზოლუციის ავტორები მიუთითებენ, რომ წამყვანი პოლიტიკური პარტიების ლიდერთა სასამართლო პროცესები ევროსტრუქტურების ნორმების შესაბამისად უნდა წარიმართოს.

ევროპარლამენტი მიიჩნევს, რომ ასოცირების შეთანხმების ხელმოწერამდე უნდა გამოვლინდეს არსებითი პროგრესი საქართველოს მხრიდან კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის სფეროში და ევროპული სტანდარტების დაცვით უნდა ჩატარდეს მომავალი საპრეზიდენტო არჩევნები.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძის შეფასებით, საპრეზიდენტო არჩევნების წინ და ვილნიუსის სამიტამდე ერთი თვით ადრე ასეთი გადაწყვეტილების მიღება მნიშვნელოვანია.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

„ჟენევა 2„-ის ჩატარების თარიღი კვლავ გაურკვეველია

ივა ჭილაკაძე

უილიამ ჰეიგი

ბოლო დღეებში სირიის გარშემო დიპლომატიური აქტიურობა შეინიშნება, თუმცა ჯერჯერობით ამ კონსულტაციებს რეალური შედეგი ვერ მოაქვს. მხარეების პოზიციები კვლავ დიამეტრულად განსხვავებულია და შეურიგებლების რაოდენობა თვით სირიაში მუდმივად იზრდება.

ლონდონში „სირიის მეგობარი ქვეყნების“ ჯგუფში შემავალი წამყვანი სახელმწიფოების კონსულტაციები გაიმართა, რომელშიც სირიის ოპოზიციის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643⇓
1 ევრო	2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓
1 თურქული ლირა	0.8622⇓
100 რუსული რუბლი	5.0433⇓

თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

ქართული სპორტული ალპინიზმის 90 წლის იუბილე

მყინვარწვერიდან ევერესტამდე

ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულმა სასახლემ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და მთამსვლელთა ფედერაციის ერთობლივი ორგანიზებით ქართული ალპინიზმის 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილ დასკვნით საღამოს უმასპინძლა.

ღონისძიებაზე საზეიმოდ დაჯილდოვდნენ მოქმედი და ვეტერანი მთამსვლელები, მათ შორის რამდენიმე ვეტერან სპორტსმენს - აფი გიგანს, რომან გიუტაშვილს, ბიძინა გუჯაბიძეს, ლევ სარქისოვსა და ბენო ქაშაკაშვილს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა სპორტის რაინდისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდებები გადასცა. ამ თარიღთან დაკავშირებით, რამდენიმე ვეტერანი მთამსვლელი ღირსების ორდენზეც არის წარდგენილი.

მთამსვლელობის 90 წლის იუბილეს აღსანიშნავ დასკვნით საზეიმო ღონისძიებას ვეტერანი მთამსვლელები, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელები და მოწვეული სტუმრები დაესწრნენ.

საღამოზე, რომელიც ოლიმპიური კომიტეტის პირველ ვიცე-პრეზიდენტს ელგუჯა ბერიშვილს მიჰყავდა, აჩვენეს 12-წუთიანი დოკუმენტური ფილმი ალპინიზმის ისტორიის შესახებ.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

დღე სახელად ფანი არდანი

ფრანგი მსახიობი მასტერკლასსა და ფილმის პრემიერას გვთავაზობს

ია ვეკუა

რამდენიმე დღის წინ ჩრდილო კორეელი ჯაშუშივით შემოპარული, კარგად გამძღარი და უკანვე გაპარული ჟერარ დეპარდიესგან განსხვავებით, ფრანგული კინოს კიდევ ერთი ვარსკვლავი, ფანი არდანი, სრულიად ლეგალურად, ქართული მხარის მოწვევითა და საქმიანი ვიზიტით გვესტუმრება. ფრანგი მსახიობი ამჯერად უფრო რეჟისორის სტატუსით გვეწვევა და საკუთარ სარეჟისორო ნამუშევარს, „აკვიატებულ რითმებს“ წარმოგვიდგენს.

ფანი არდანის ვიზიტი საქართველოს ეროვნული კინოცენტრის, ფრანგული ინსტიტუტისა და კულტურის სამინისტროს მიერაა ორგანიზებული. მისი სტუმრობა მხოლოდ ერთდღიანია, თუმცა ძალიან დატვირთულია, და, იმედია, დასასრულიც (ანუ ფილმი) სასიამოვნო ექნება. მუშაობას დილიდანვე დაიწყებს. ჯერ ჟურნალისტებს შეხვდება, შემდეგ კულტურის მინისტრ გურამ ოდიშარიას, 15:30 საათიდან კი მარჯანიშვილის თეატრის დიდ სცენაზე გადაინაცვლებს, სადაც სამსახიობო ოსტატობაში მასტერკლასს ჩაატარებს.

გაგრძელება მე-5 გვერდზე



პრეზიდენტი: საქართველოს უსაფრთხოება რუსეთის შესაძლო გაღიზიანებას ეწირება

მთავრობამ თბილისის გარშემო თავდაცვითი ზღუდის მშენებლობა შეაჩერა, - ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სოციალური ქსელის ოფიციალურ გვერდზე წერს.

„ბევრი ვიმუშავეთ და ძალიან დიდი ენერგია ჩავქსოვეთ. მშენებლობა დღეს მთლიანად შეჩერებულია და არსებული ნაგებობების ამუშავება, პრაქტიკულად, მთლიანად საბოტაჟის ქვეშ არის. მიმაჩნია, რომ ეს არის საქართველოს უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული პირდაპირი მავნებლური ქმედება და ამის შესახებ ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს.

შეჩერებული სამუშაოების შესახებ ვესაუბრე გენშტაბის ოფიცრებს და მათი თქმით, მთავრობაში აუხსნეს, რომ მანაგებობების მშენებლობით ჩვენ ვაღიზიანებთ და პროვოკაციებს ვუწყობთ რუსებს," - აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

დავით სერგეენკო: არც მინისტრობაზე მოიცნებია და არც პრემიერის თანამდებობის საკითხია მნიშვნელოვანი

დავით სერგეენკოს განმარტებით, მისი პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნა პრიორიტეტული არ არის. როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ჯანდაცვის მინისტრმა აღნიშნა, მას არც ჯანდაცვის მინისტრობაზე უოცნებია და ამ ეტაპზე არც პრემიერ-მინისტრის თანამდებობის საკითხია მნიშვნელოვანი. თუმცა ქვეყნის პირორიტეტი როგორც მოითხოვს, ისე მოიქცევა.

„ამ საკითხზე კონსულტაციები პრიორიტეტული არ არის. პრიორიტეტული საპრეზიდენტო არჩევნებია. დარწმუნებული ვარ, არჩევნები ჩაივლის და კარგი შედეგები დაფიქსირდება. ჯანდაცვის მინისტრობაც არ ყოფილა ჩემთვის ბავშვობის ოცნება. როგორც ქვეყანას დასჭირდება, ის იქნება პრიორიტეტი ჩემთვისაც," - განაცხადა დავით სერგეენკომ.

ბიძინა ივანიშვილი, საპარლამენტო არჩევნებისგან განსხვავებით, საპრეზიდენტო არჩევნებზე ხმის უფლებას გამოიყენებს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისგან განსხვავებით, საპრეზიდენტო არჩევნებზე ხმის მიცემის უფლებას გამოიყენებს, - ამის შესახებ ინფორმაციას პრემიერის პრესსამსახურში ადასტურებენ.

საპრეზიდენტო არჩევნებზე საკუთარ არჩევანს პრემიერ-მინისტრის მეუღლე ეკატერინა ხვედელიძეც დაფიქსირებს, რომელმაც ხმის მიცემის უფლებით 2012 წლის საპარლამეტო არჩევნებზეც ისარგებლა.

ეკატერინა ხვედელიძე საქართველოს მოქალაქეა, საფრანგეთის მოქალაქე ბიძინა ივანიშვილს კი ხმის მიცემის უფლებას საკონსტიტუციო ცვლილება აძლევს, რომელიც პარლამენტმა 2012 წლის 22 მაისს მიიღო.

კონსტიტუციის 104/4 მუხლის თანახმად, 2014 წლის 1 იანვრამდე, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის და ხმის მიცემის უფლება, საქართველოს მოქალაქეებთან ერთად შესაბამისი ასაკიდან აქვთ პირებს, რომლებიც დაბადებულნი არიან და ბოლო 5 წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში და ამ მუხლის ამოქმედების მომენტისთვის აქვთ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეობა.

სამოხელეო და ეკონომიკურ დანაშაულში ბრალდებულებს ელექტრონული სამაჯურებით გააკონტროლებენ

„თეთრი საყელოს" ანუ სამოხელეო და ეკონომიკურ დანაშაულში ბრალდებულები, რომლებსაც წინასწარი პატიმრობის ნაცვლად სხვა სახის აღკვეთის ღონისძიება შეეფარდებათ, სავარაუდოდ, ელექტრონული სამაჯურით გაკონტროლდებიან.

პატიმართა ელექტრონული მონიტორინგის მექანიზმის დანერგვაზე მთავარი პროკურატურა სასჯელაღსრულების სამინისტროსთან ერთად მუშაობს. ელექტრონული სამაჯურით, რომელიც ბრალდებულს დაუმაგრდება და რომელზეც ინდივიდუალური პროგრამა იქნება ჩატვირთული, ბრალდებულის გადაადგილება გაკონტროლდება.

პროგრამა თავდაპირველად საპილოტე ხასიათის იქნება და 6 თვის განმავლობაში მხოლოდ თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში დაინერგება. პირველ ეტაპზე ელექტრონული მონიტორინგი განხორციელდება მხოლოდ ე.წ. თეთრი საყელოს" დანაშაულზე ბრალდებულ პირებზე.

„თეთრი საყელოს" დანაშაულზე წინასწარი პატიმრობის გამოყენების პრობლემატიკისა და ბრალდებულთა პრობაციის სამსახურის შექმნის თემაზე გუშინ „თბილისი მარიოტში" კონფერენცია გაიმართა.

„მიმდინარე წლის ზაფხულში გამოვედით ინიციატივით, რომ „თეთრი საყელოს" დანაშაულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების ფორმა ქართულ სისხლის სამართლის პოლიტიკაში ლიბერალურად შეცვლილიყო. ეს იმას ნიშნავს, რომ თანამდებობრივი დანაშაულების, ეკონომიკური დანაშაულების ჩადენისას და პირის პასუხისმგებლობაში მიცემისას შეიძლება, მის მიმართ არ იქნას გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახითი ისეთი მკაცრი ზომა, როგორიცაა პატიმრობა და შეირჩეს რამე სხვა ღონისძიება. თუ გვსურს, რომ აღნიშნულის ლიბერალიზაცია განხორციელდეს და ნაკლები პატიმრები გვყავდეს, მაშინ უნდა ამოქმედდეს კონტროლის მექანიზმები, როდესაც ბრალდებულს არ აპატიმრებენ და მასზე ჯეროვანი კონტროლი ხორციელდება. ერთ-ერთი მექანიზმი ელექტრონული სამაჯურის გაკეთებაა, რაც შინაპატიმრობას გულისხმობს, მაგრამ არა მხოლოდ. არის მონიტორინგის სხვა ფორმებიც - დარეკვა ან გამოცხადება შესაბამის ორგანოში, ოფიცრის მიერ პირის ადგილზე შემოწმება და ა.შ. მრავალი მექანიზმი არსებობს, რათა პატიმრობაში არმყოფ პირზე ჯეროვანი კონტროლი განხორციელდეს," - განუცხადა ჟურნალისტებს კონფერენციის დაწყებამდე მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა.

სოზარ სუბარი: ამ ტერაქტს დამკვეთი ჰყავს

პირველი გვერდიდან

დაცვის მხარისთვის ამ წუთებამდე მტკიცებულებები არ გადმოუციათ და აცხადებენ, რომ მზად არ არიან. თუ არ იყვნენ, მაშინ ამ ადამიანებისთვის ბრალიც არ უნდა წაეყენებინათ. დაკავებულების პოზიციაა, რომ საკუთარ სიმართლეს აუცილებლად დაამტკიცებენ. მათ უვადო შიმშილობა დაიწყეს," - განაცხადა გიორგი ონიანმა.

შს სამინისტროს ინფორმაციით, 2008 წლის 21 მაისს, საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიზნით სოფელ ხურჩაში მობილიზებული იქნა გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის მოსახლეობა, რომელიც საზოგადოებრივი ტრანსპორტის მეშვეობით აპირებდა ზუგდიდში გამგზავრებას. მოცემულ დროს მშვიდობიანი მოსახლეობის დაშინების მიზნით, რომან შამათავამ, შსს სხვა მაღალ თანამდებობის პირებთან ერთად, ორგანიზება გაუკეთა და განახორციელა ტერორისტული აქტი, რამაც შექმნა ადამიანის სიცოცხლის მოსპობის და მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის საშიშროება, ასევე ხელყო საზოგადოებრივი უსაფრთხოება.

სოფელ ხურჩაში მომხდარი ინციდენტის გამო ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავების ფაქტს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გამოეხმაურა. ღარიბაშვილი სოფელ ხურჩაში განხორციელებულ თავდასხმას „შეკვეთილ ტერორისტულ აქტს" უწოდებს და მიიჩნევს, რომ აღნიშნული შემთხვევა იმის ნათელი მაგალითია, თუ რა მეთოდებით ებრძოდა ყოფილი ხელისუფლება საკუთარ ხალხს.

„საზოგადოებამ ნახა, როგორი მეთოდებით ებრძოდა საკუთარ ხალხს წინა ხელისუფლება - ეს იყო შეკვეთილი ტერორისტული აქტი, განხორციელებული საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, იმისთვის, რომ მომხდარიყო მათი დაშინება, გამოეწვიათ პანიკა და ა.შ." - განაცხადა ღარიბაშვილმა.

მისივე განმარტებით, საქართველოში „ასეთი სპექტაკლების ეპოქა დასრულდა."

„ეს სპექტაკლები დამთავრდა და აღარასდროს განმეორდება. ძალიან მარტივი შესაფასებელია საზოგადოებისთვის - მათ უნდა აირჩიონ ან მშვიდობა, განვითარება და სტაბილურობა, ან მსგავსი დადგმული ტერაქტების ეპოქა," - აღნიშნა შს მინისტრმა.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრ სოზარ სუბარის განცხადებით, ხურჩაში ხუთი წლის წინათ განხორციელებულ ტერაქტს დამკვეთი ჰყავს.

სუბარის თქმით, ადამიანები, რომლებიც ტერაქტის განხორციელებისთვის დააკავეს, მომხდარს თავად ვერ დაგეგმავდნენ.

„ეს ადამიანები ტერაქტს თავისით ვერ დაგეგმავდნენ და რომც დაეგეგმათ, დიდი ხნის წინ მოხვდებოდნენ საპყრობილეში. შესაბამისად, ამ ტერაქტს ჰყავს დამკვეთი," - განაცხადა სოზარ სუბარმა.

მისივე შეფასებით, ეს აბსოლუტურად დაგეგმილი ტერაქტი იყო და მომხდარს ამგვარად თავად ნორვეგიელი და შვედი დამკვირვებლები აფასებენ, რომლებიც სამეგრელო-ზემო სვანეთში მუშაობდნენ.

„მეორე დღეს, როდესაც ტერაქტი მოხდა, ჩემთან მოვიდნენ ნორვეგიელი და შვედი დამკვირვებლები და განცხადება გააკეთეს, რომ ეს იყო აბსოლუტურად დაგეგმილი ტერაქტი, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო რეალობასთან. ისინი ვერც კი იჯერებდნენ, რომ ასეთი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო," - აღნიშნა სოზარ სუბარმა.

ამასთან, მისივე განმარტებით, წინა ხელისუფლების პირობებში ჩატარებულმა გამოძიებამ ყურადღება არცკი მიაქცია კადრს, რომელიც ერთ-ერთი ტელეკომპანიის ვიდეოკამერამ დააფიქსირა და რომელშიც ჩანს, რომ ერთ-ერთი დაზარალებული ქალბატონი, რომელსაც ტყვია მოხვდა, იქვე მყოფ პირთა მისამართით ისვრის რეპლიკას - **„ეს რა მიქენი, კინაღამ მომკალიო".**

„კადრშივე ჩანდა, რომ ეს ქალბატონი იღებს პასუხს - არაფერი მოგივა, ნუ გეშინიაო. ეს კადრი, რომელიც ტელეეთერში მხოლოდ ერთხელ მოხვდა, შემდეგ ამოჭრეს. გამოძიებას ამ კადრისთვის ყურადღება არ მიუქცევია," - განმარტა სუბარმა.

ხურჩაში 2008 წლის 21 მაისს განხორციელებული ტერაქტის გამო მაღალი თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილიც არ გამორიცხავს.

მისი თქმით, გამოძიების პირველადი ვერსიით ტერაქტი, სავარაუდოდ, სწორედ მაღალი თანამდებობის პირთა მიერ იყო ორგანიზებული.

„ამ საკითხზე გამოძიება მიმდინარეობს, ის ინფორმაცია, რომელიც შსს-მ გაავრცელა, პირველადია და მიუთითებს საგამოძიებო ორგანოს ვარაუდზე, რომ ტერაქტი ორგანიზებულ იქნა, სავარაუდოდ, მაღალი თანამდებობის პირების მიერ. დეტალებს, თუ ვის მიერ, როგორ და რანაირად - მომავალი გვიჩვენებს," - აღნიშნა კბილაშვილმა.

„ნაციონალური მოძრაობის" წევრები კი აცხადებენ, რომ ხურჩის ინციდენტის მოწყობაში ქართული მხარის დადანაშაულება პოლიტიკური ხრიკია, რომლითაც ხელისუფლება რუსეთის ინტერესებს ემსახურება და ამასთან, ნათელი ხდება, რომ პოლიციის დეპოლიტიზების შესახებ განცხადებები სიცრუეა.

სამართალდამცავებს ლაფანყურის კომისიის ეფექტურობაში ეჭვი შეაქვთ

ლაფანყურის მოვლენების შემსწავლელმა საზოგადოებრივმა საბჭომ გუშინ პირველი სხდომა გამართა.

სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილის განცხადებით, გუშინდელ შეხვედრაზე საბჭოს 12-მა წევრმა სამოქმედო გეგმა დასახა.

„მთავარია, რაც შეიძლება მოკლე პერიოდში შეხვედრა და გასაუბრება ყველა იმ პირთან, ვისაც შეიძლება, რაიმე ინფორმაცია ან რაიმე სახის მონაცემები ჰქონდეს ლაფანყურის შესახებ," - განაცხადა ნანუაშვილმა.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ლაფანყურის სპეცოპერაციის შემსწავლელი კომისიის დასკვნას სამართლებრივი ძალა არ ექნება, თუმცა სერიოზული მნიშვნელობის იქნება და შეავსებს ოფიციალურ გამოძიებას, რომელიც ლაფანყურის მოვლენებზე მიმდინარეობს.

„ამ კომისიის დასკვანს არანაირი ვალდებულება, არანაირი სამართლებრივი ძალა არ ექნება, მაგრამ მას ექნება სერიოზული მნიშვნელობა იმისთვის, რომ მივიღოთ მეტი ინფორმაცია და დავადასტუროთ გარკვეული ფაქტები. ჩვენ შევავსებთ იმ ოფიციალურ გამოძიებას, რომელიც მიმდინარეობს," - განაცხადა სახალხო დამცველმა.

კომისიის ერთ-ერთი წევრის ლია მუხაშავრიას ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც კომისიას შესაბამისი დასკვნა ექნება, სახალხო დამცველი უფლებამოსილია, კომისიის და საკუთარი სახელით მთავარ პროკურატურას მიმართოს და გამოძიების ჩატარება დაავალოს.

„ძალიან მკაცრად განსაზღვრული კანონის ფარგლებში უჩა ნანუაშვილი ისარგებლებს მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებით. ვვარაუდობ, რომ გამოძიების შემთხვევაში დავდებთ ისეთ მასალას, რომელსაც მხოლოდ საბრალდებო დასკვნა უნდა ჰქონდეს," - აღნიშნა მუხაშავრიამ.

სახალხო დამცველი აპარატთან არსებული საზოგადოებრივი კომისიის შესახებ კომენტარი გააკეთა შინაგან საქმეთა მინისტრმა. ირაკლი ღარიბაშვილმა ლაფანყურის სპეცოპერაციის შემსწავლელი საზოგადოებრივი კომისიის ეფექტურობაში ეჭვი შეიტანა.

„მათ ჰქონდათ უფლება, რომ კომისია შეექმნათ, მაგრამ, ვფიქრობ, ის არ იქნება ეფექტური," - განცხადა ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, აღნიშნულ საკითხზე შსს-ს გამოძიება **„ძალიან ეფექტურად"** მიმდინარეობს.

„გამოძიებას ძალიან მალე დავასრულებთ და ჩვენ პასუხს გავცემთ ყველა კითხვას", - განცხადა შს მინისტრმა

ამავე საკითხზე კომენტარი გააკეთა მთავარმა პროკურორმაც. იგი ლაფანყურის სპეცოპერაციის შემსწავლელ საზოგადოებრივ კომისიას „სამართლებრივი ძალის მქონედ" არ აღიქვამს. კბილაშვილის შეფასებით, საქმე გვაქვს კანონით განსაზღვრულ, ნებადართული კომისიის შექმნის წესთან.

„ეს საზოგადოების უფლებაა. ასე რომ, მას არ აღვიქვამ, როგორც სამართლებრივი ძალის მქონე კომისიას. ამ მხრივ საქმე გვაქვს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ, ნებადართული კომისიის შექმნის წესთან," - შენიშნა მთავარმა პროკურორმაც.

საბჭოს პირველი სხდომის დასრულების შემდეგ სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ წელიწადი და ორი თვეა, უპასუხოდ არის დარჩენილი როგორც დაზარალებულების, ასევე საზოგადოების წარმომადგენლების კითხვები ლაფანყურის ირგვლივ. ნანუაშვილის თქმით, საბჭო მის ხელთ არსებული რესურსებით სიმართლის გარკვევას შეეცდება.

„ჩვენ მიერ მოპოვებული თითოეული ინფორმაცია კონფიდენციალურია და წევრებს მისი გახმაურება ეკრძალებათ. ეს არ არის საგამოძიებო მისია, რეალურად ეს საბჭო იმისთვის არის, რომ მოიძიოს და გადაამოწმოს კონკრეტული ფაქტები ლაფანყურის სპეცოპერაციის ირგვლივ, შემდეგ კი დადოს ანგარიში და ასევე რეკომენდაციები სხვადასხვა სტრუქტურებისთვის," - აღნიშნა ომბუდსმენმა.

მისივე თქმით, კომისია შეეცდება, გამოკითხოს ყველა ის პირი, ვისაც შესაძლოა, რაიმე კონკრეტული ინფორმაცია გააჩნდეს, მათ შორის კერძო პირები, ორგანიზაციების წარმომადგენლები და ჟურნალისტები. რაც შეეხება ყოფილ მაღალჩინოსნებს, უჩა ნანუაშვილი განმარტავს, რომ თუ თავად მაღალჩინოსნების სურვილი იქნება, კომისია ინფორმაციას მათგანაც მოისმენს.

ნანუაშვილის ინფორმაციით, საბჭოს შემდეგი სხდომა 2-3 კვირაში გაიმართება.

ცნობისათვის: ლაფანყურში ჩატარებული სპეცოპერაციის შესასწავლად სახალხო დამცველის აპარატთან შექმნილი საზოგადოებრივი საბჭოს წევრები არიან: უჩა ნანუაშვილი, სოსო ცისკარიშვილი, ლია მუხაშავრია, უმარ იდიგოვი, ზაურ გუმაშვილი, ხასო ხანგოშვილი, მორატ ქავთარაშვილი, ვახტანგ მაისაია, კახა კახიშვილი, მამუკა არეშიძე, თამარ გაბისონია და გელა ნიკოლაიშვილი.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "შვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

საქართველომ სხვათა შეცდომებზე უნდა ისწავლოს

პირველი გვერდიდან

პირისპირ შეხვედრის შემდეგ მხარეებმა საუბარი სამუშაო საუზმეზე გაფართოებულ ფორმატში გააგრძელეს, რომელშიც საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი და კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი მონაწილეობდნენ. საუბრის შემდეგ ივანიშვილმა, სიკორსკიმ და ბილდტმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.

ივანიშვილის შეფასებით, რადოსლავ სიკორსკისა და კარლ ბილდტს საქართველოში ვითარების სტაბილურობის საკითხი აინტერესებთ. როგორც პრემიერმა აღნიშნა, ეს ნორმალურია, რადგან საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ორი გამოკვეთილი ლიდერი დატოვებს პოლიტიკას - 17 ნოემბერს მიხეილ სააკაშვილი და ინაუგურაციიდან ერთ კვირაში კი თავად პრემიერი. როგორც ივანიშვილი ამბობს, შეხვედრაზე მთავარი თემა 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები იყო. **„სტუმრებს უფრო მეტად საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომი პერიოდი აინტერესებდათ. ისინი მეკითხებიან, როგორ ვხედავ მოვლენების განვითარებას. მოვახერხე, დამერწმუნებინა, რომ არჩევნების შემდეგ ქვეყანაში სტაბილურობა იქნება, თუმცა, ბუნებრივია, მათ ეჭვებიც აქვთ. ვუთხარი, რომ ინაუგურაციის შემდეგ პრემიერის პოსტს დავტოვებ. მათ აინტერესებდათ, არჩევნების შემდეგ დაჭერები ხომ არ დაიწყება. ავუხსენი, რომ ჩემს ინტერესს მხოლოდ სასჯელზე ფიქრი არ წარმოადგენს, მაგრამ მათთვის გარანტიები და პირობები არ დამიდია. მათ ჩვენი შიდა სიტუაცია ნაკლებად იციან. შეხვედრაზე ვცდილობდი, დამერწმუნებინა, რომ საქმე ასე მარტივად არ არის. ისინი წუხილს გამოთქვამენ იმის გამო, რომ საქართველოში სამართლიანობის აღდგენის პროცესი დიდხანს არ გაგრძელდეს, ახალი დაპატიმრებები არ დაიწყოს, რაშიც მათ ვეთანხმები. მუდამ უკან ყურება ჩემი ინტერესი არ არის. ნაკლები აგრესია და შურისძიების განცდა უნდა გვქონდეს, ევროპისა და ევროატლანტიკური სივრცისკენ ჩვენი სწრაფვა მეტი პატიებითა და შერიგებით დავაჩქაროთ,“** - ამბობს ბიძინა ივანიშვილი.

ივანიშვილის შეფასებით, ვილნიუსის სამიტი საქართველოს უახლოესი გამოწვევაა, რომლისთვისაც ქვეყანაში აბსოლუტური მზადყოფნაა. პრემიერი ევროპელ პარტნიორებს არწმუნებს, რომ საქართველოში ევროპული არჩევნები ჩატარდება. პრემიერის თქმით, საგარეო საქმეთა მინისტრებს ინფორმაცია აქვთ იმის შესახებ, რომ წინასაარჩევნო პროცესი სტანდარტების დაცვით მიმდინარეობს. პრემიერის შეფასებით, ეს ახალი ტიპის ევროპული არჩევნები იქნება.

რაც შეეხება საქართველოს ევროპულ კურსზე საპრეზიდენტო არჩევნების შესაძლო გავლენის შესახებ დასმულ კითხვას, ბიძინა ივანიშვილის თქმით, ახალი პრეზიდენტის არჩევით ხელისუფლება ევროპისკენ სწრაფვის ტემპებს გააძლიერებს. **„მთელი გუნდი ამისთვის შეკრული ვიქნებით და დარწმუნებული ვარ, ამ პროცესებში მონაწილეობას ოპოზიციაც მიიღებს,“** - თქვა პრემიერ-მინისტრმა.

მან ევროპასთან საქართველოს დაახლოების პროცესში რუსეთის დამოკიდებულების შესახებაც ისაუბრა. **„რუსეთის პოზიციით გაოცებული ვარ, როდესაც რუსეთი თითქოს ევროკავშირის საწინააღმდეგო პოზიციას ამჟღავნებს, თუმცა ამას გახსნილად არ აცხადებს და ეს კარგია. ეჭვი კი ქმედებებში ჩნდება, რაც ძალიან სამწუხაროა. არ მგონია, ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირებამ და შემდეგ ხელმოწერამ რუსეთთან ურთიერთობები გაართულოს, თუმცა ამ ეტაპზე კითხვები რჩება. უფრო მეტად იმის იმედი მაქვს, რომ თვითონ რუსეთი გააცნობიერებს და საუკეთესო გაერთიანებისკენ სწრაფვას დაიწყებს. ევროკავშირი საუკეთესო გაერთიანებაა, რომლის მსგავსი მსოფლიოში არაფერია. ევროკავშირი ყველაზე ცივილიზებული, ყველაზე დემოკრატიული და ყოველმხრივ ყველაზე საინტერესოა, თუ გნებავთ, ეკონომიკისა და სხვა პროცესების თვალსაზრისით,“** - მიიჩნევს ბიძინა ივანიშვილი.

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბიძინა ივანიშვილის მიმართ თავისი დამოკიდებულება არ დამალა. **„საოცარ ადგილზე ვარ, ძალიან ლამაზ ქალაქში. ვაცნობიერებ, რა განსაკუთრებული მომენტია. ვდგავარ ადამიანის გვერდით, რომელიც პრემიერ-მინისტრის პოსტს ნებაყოფლობით ტოვებს, რაც პოლიტიკაში მართლაც უპრეცედენტო შემთხვევაა,“** - აღნიშნა შესავალ სიტყვაში რადოსლავ სიკორსკიმ. სიკორსკის თქმით, საქართველოში ერთი თვის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვლება, მათ შორის პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და კონსტიტუცია. სიკორსკი ივანიშვილს ეთანხმება და მიიჩნევს, რომ ქვეყნის ევროინტეგრაციისთვის ქვეყანაში ერთიანობა აუცილებელია. **დემოკრატიულ სახელმწიფოში ოპოზიცია პოლიტიკური სისტემის ნაწილია,“** - თქვა სიკორსკიმ.

რადოსლავ სიკორსკი დარწმუნებულია, რომ ნოემბრის ბოლოს ვილნიუსში საქართველო ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირებას მოახდენს. მას შემდეგ კი, რაც ასოცირების შესახებ შეთანხმებას ხელი მოეწერება, საქართველო, სიკორსკის თქმით, ევროპის კანონმდებლობის ჭეშმარიტად განხორციელებას დაიწყებს. **ეს დიდი ნაბიჯია ევროპისკენ. ვიმედოვნებ, საპრეზიდენტო არჩევნებზე ყველაფერი ნორმალურად იქნება. მინდა, გითხრათ, რომ წინასაარჩევნო პროცესი ჯერჯერობით ევროპის სტანდარტებს სრულიად აკმაყოფილებს. ვფიქრობ, საქართველო კვლავ აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის“ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქვეყანა იქნება. იმედი მაქვს, მომავალ წელს საქართველოს მივესალმებით, როგორც ევროკავშრის ასოცირებულ წევრ ქვეყანას. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად საუკეთესო გზა საქართველოს წარმატებული ქვეყნის მაგალითად ქცევაა. ამას, პოლონეთი და მთლიანად ევროკავშირი მხარს უჭერს - ეს მისი პრინციპული პოზიციაა,“** - აცხადებს რადოსლავ სიკორსკი.

საგარეო საქმეთა მინისტრებმა უპასუხეს კითხვას, რომელიც ევროკავშირთან დაახლოების პროცესში უკრაინის მაგალითს ეხება. **უკრაინაში ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებები და მისი პარაფირება საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა. ჩვენ ევროინტეგრაციის პროცესი შევაჩერეთ. როდესაც უკრაინასთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერაზეა საუბარი, ეს დამოკიდებულია იმაზე, რამდენად შეძლებს უკრაინა თავისი ვალდებულებების შესრულებას. იულია ტიმოშენკო პატიმრობაში რჩება, სხვა ადამიანებიც არიან დაპატიმრებულნი, ზოგიერთები კი გამოუშვეს. ამასთან, უკრაინაში საარჩევნო კანონმდებლობის მიმართულებით პრობლემებია. საქართველომ, უკრაინამ და მოლდავეთმა წარმატებული ქვეყნების მაგალითები უნდა გაითვალისწინონ და სხვა ქვეყნების შეცდომებზე უნდა ისწავლონ,“** - ამბობს კარლ ბილდტი.

რადოსლავ სიკორსის განცხადებით, საქართველომ მოდერნიზაცია უნდა გაგრძელოს და თავიდან აიცილოს ისეთი მართლმსაჯულება, რომელიც შესაძლოა, პოლიტიკურად მოტივირებულად აღიქმებოდეს.

მინისტრები რუსეთის ნაბიჯებზეც ამახვილებენ ყურადღებას. **მოლდავური ღვინოც დამილევია და ქართულიც, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ. არა მგონია, ეს ღვინოები ისეთი მომწამვლელი იყოს, როგორადაც წარმოაჩენდნენ,** - აღნიშნა სიკორსკიმ. მისი აზრით, რუსეთისთვის ეკონომიკური შეტევის პოლიტიკა მომგებიანი არ არის, რადგან ასეთ დროს პროცესში ევროპა აქტიურად ერთვება.

კარლ ბილდტი აზუსტებს, რომ მოლდავეთზე რუსეთის ზეწოლისას ევროკავშირმა თავის ბაზარზე მოლდავური ღვინის კვოტა გაზარდა. ამავე დროს, ბილდტმა რუსეთის მიერ აღებული ვალდებულებების შესახებ ისაუბრა. მისი თქმით, მოსკოვმა უნდა დაიცვას წესები, რომლებზე თანხმობის სანაცვლოდაც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანდა.

საგარეო საქმეთა მინისტრებთან გამართულ შეხვედრას აფასებს ალექსი პეტრიაშვილი. მისი თქმით, სიკორსკისა და ბილდტს სამი უმთავრესი გზავნილი ჰქონდათ.

„პირველი წინასაარჩევნო გარემო, წინასაარჩევნო კამპანიაა, რომელიც ევროპულ სტანდარტებს აბსოლუტურად შეესაბამება. მეორე გზავნილი არის ის, რომ საქართველო ვილნიუსის სამიტზე ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირებას აუცილებლად მოახდენს. ყველაზე მთავარია, რომ საქართველო და ევროკავშირი შეძლებისდაგვარად უმოკლეს დროში მოაწერენ ხელს ასოცირების შესახებ შეთანხმებას. ეს საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია, რათა ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაცია შეუქცევადი გახდეს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას უფრო მეტი პირობები შეექმნას,“ - ამბობს ალექსი პეტრიაშვილი.

სახელმწიფო მინისტრის თქმით, საქართველოს მთავრობამ ყველა ღონე უნდა იხმაროს იმისთვის, რომ პოლიტიკური სტაბილურობა, რეფორმების შეუქცევადობა უზრუნველყოფილი იყოს, ხოლო ქართულმა საზოგადოებამ, პოლიტიკურ ძალებთან ერთად, ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერას არავითარი დაბრკოლება არ შეექმნას.

სიკორსკი და ბილდტი, ივანიშვილთან შეხვედრამდე, 22 ოქტომბერს საქართველოში ჩამოსვლისთანავე აეროპორტიდან საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან შესახვედრად გაემგზავრნენ. სააკაშვილმა სტუმრებს საქმიანი ვახშმის ფორმატში უმასპინძლა, მანამდე კი სტუმრებმა პრეზიდენტთან ერთად თბილისი დაათვალიერეს.

ვახშამი აქციის ფონზე წარიმართა. რესტორან „ფუნიკულიორთან“ პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული პირები და რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი შეიკრიბა, რომლებიც შეძახილებით სააკაშვილის 10-წლიან მმართველობას აპროტესტებდნენ. აქციის მონაწილეების თქმით, სააკაშვილს უფლება არა აქვს, ევროპელები მოატყუოს და იმის შესახებ ესაუბროს, თუ როგორი დემოკრატი პრეზიდენტია.

საკუთარი ინფორმაცია

ევროპარლამენტმა ვანო მერაბიშვილი პოლიტპატიმრად არ აღიარა

პირველი გვერდიდან

ფანჯიკიძის თქმით, ეს გარანტიაა იმისა, რომ ვილნიუსში ყველაფერი იქნება ისე, როგორც მთავრობას წარმოუდგენია, რაც დიდი წარმატებაა. **საქართველოში პოლიტპატიმრები არ არიან, არც შერჩევითი სამართალია, მაგრამ ყველა ვთანხმდებით, რომ გამოძიება და სასამართლო განხილვა ისე უნდა წარიმართოს, როგორც ევროპაში,“** - თქვა მაია ფანჯიკიძემ.

ფანჯიკიძე აღნიშნავს, რომ რეზოლუციაში ასევე შესულია რეკომენდაციები, რომლებსაც საქართველო იცავს. **არჩევნებამდე 3 დღეა დარჩენილი და წინასაარჩევნო პროცესი აბსოლუტურად დემოკრატიულად, გამჭვირვალედ მიმდინარეობს,“** - დასძენს მინისტრი.

ევროკავშირთან საქართველოს მისიის ხელმძღვანელი ნატალია საბანაძე ამბობს, რომ ევროპარლამენტი მხარს უჭერს ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირებას და სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პროცესის სწრაფად დასრულებას. როგორც საბანაძე აღნიშნავს, ევროპარლამენტი საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესის გამყარებისკენ მოუწოდებს; ასევე, ყურადღება გამახვილებულია სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის განმტკიცებაზე, მათ შორის, ვანო მერაბიშვილის საქმეზე.

საქართველოს მთავრობა ევროპარლამენტის რეზოლუციის შესახებ განცხადებას აქვეყნებს და ევროპის პარლამენტის მიერ მიღებულ დოკუმენტს მიესალმება. **რეზოლუცია, რომელიც მიღებულია ნოემბრის ბოლოს ვილნიუსში დაგეგმილ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სამიტამდე, აღიარებს იმ წინსვლას, რომელსაც საქართველომ მიაღწია ქვეყნის მოდერნიზაციისა და ასოცირების შეთანხმების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიმართულებით და აცხადებს, რომ ევროპის პარლამენტი მხარს უჭერს ასოცირების შეთანხმების პარაფირებას სამიტზე,“** - ნათქვამია განცხადებაში.

პრემიერის პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ცნობის თანახმად, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი თამარ ჩუგოშვილი აცხადებს, რომ მთავრობა ევროპის პარლამენტის მიერ საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული რეფორმების პროცესის მხარდაჭერას გულითადად მიესალმება.

მთავრობის განცხადებაში, ასევე ნათქვამია, რომ **„გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია და ასოცირების შეთანხმება საკვანძო როლს შეასრულებს რეფორმების დაჩქარებისა და გაღრმავების საქმეში. ჩვენ ასევე მივესალმებით მიღებულ რეკომენდაციებსა და პარლამენტის ზედამხედველობას ხსენებული პროცესების მსვლელობის მთელ გზაზე... მთავრობამ ამ რამდენიმე თვის განმავლობაში მთელი რიგი ფართო სპექტრის ღონისძიებები განახორციელა სამაგალითო, სუფთა, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უზრუნველსაყოფად, როგორც ეს ევროპისკენ მიმავალ ქვეყნას შეეფერება. ამგვარი განცხადებების გამოძახილია ევროპარლამენტის წევრთა გამონათქვამებიც იმის შესახებ, რომ არჩევნები იქნება საქართველოს დემოკრატიული სტანდარტებისა და კანონის უზენაესობისთვის მზაობის ლაკმუსის ტესტი, ოპოზიციისთვის არჩევნებში მონაწილეობის სრული თავისუფლების მინიჭებითა და საარჩევნო კამპანიის გაშუქებით თავისუფალი, დამოუკიდებელი მედიის მიერ, ხელისუფლების მხრიდან ყოველგვარი ჩარევის გარეშე. საქართველოს საგარეო პოლიტიკის საკითხზე ევროპარლამენტი მხარს უჭერს საქართველოს მთავრობის ძალისხმევას რუსეთთან დაძაბულობის შესუსტების მიმართულებით და, იმავდროულად, ქვეყნის პროევროპული ორიენტაციის შენაჩუნებას. მან ასევე დაადასტურა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ ევროკავშირის მტკიცე მხარდაჭერა. საქართველოს ადმინისტრაციული საზღვრების გასწვრივ განლაგებული რუსეთის სამხედრო ნაწილების შემოჭრამ საყოველთაო საერთაშორისო აღშფოთება გამოიწვია.**

მხედველობაში იღებს რა რუსეთის მხრიდან აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებზე ზეწოლის გაძლიერებას ევროკავშირთან სიღრმისეული კავშირების შეწყვეტის მიზნით, რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ საქართველომ არ უნდა შეიკავოს თავი ევროპისკენ სწრაფვის გზაზე და უნდა შეეწინააღმდეგოს რუსეთის ზეწოლას ევროკავშირთან ასოცირებაზე უარის თქმისთვის.“

ევროპარლამენტის რეზოლუცია «ნაციონალურ მოძრაობაში“ შეაფასეს. პარლამენტის ვიცე-სპიკერი უმცირესობიდან გიორგი ბარამიძე რეზოლუციის მნიშვნელობაზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ რეკომენდაციები, როგორც საქართველოს მთავრობამ, ასევე ყველა პოლიტიკურმა პარტიამ უნდა გაითვალისწინოს. მისი თქმით, **„ეს რეზოლუცია შემდგომ პოლიტიკურ პროცესებში გზამკვლევი უნდა გახდეს.“** როგორც ბარამიძე შენიშნავს, ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის პროექტში პოლიტპატიმრის შესახებ იყო საუბარი, რაც აქამდე არც ერთ კომიტეტს და არც ერთ ევროსტრუქტურას არ გაუკეთებია.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრ თინა ხიდაშელის თქმით, რეზოლუციის პროექტში, რომელზეც მუშაობა რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა, დაახლოებით, ის ტექსტი იყო, რომელიც ევროპარლამენტმა მიიღო. ხიდაშელი ამბობს, რომ «ნაციონალური მოძრაობა“ რეზოლუციის ტექსტის შეცვლაზე მუშაობდა, რათა დოკუმენტში ვანო მერაბიშვილი პოლიტპატიმარად შესულიყო.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის რეზოლუციის სწორედ ამ პროექტს საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის მწვავე კრიტიკა მოჰყვა.

პრემიერის საპასუხოდ „ევროპის სახალხო პარტიის“ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ჯოზეფ დული „ინტერპრესნიუსისთვის“ გამოგზავნილ განცხადებაში საუბრობს. როგორც დული აღნიშნავს, პრემიერ-მინისტრ ივანიშვილის ბრალდებები, რომ ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის წევრები მოსყიდულები არიან, ყოვლად მიუღებელია. **ევროპარლამენტის წარმომადგენლები ვერ მიიღებენ ასეთ, ცილისწამებით სავსე ბრალდებას, რომლის ერთადერთი მიზანია ქართულ ელექტორატზე გავლენის მოხდენა 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების წინ. როგორც ჩანს, ივანიშვილის პოპულიზმს საზღვრები არ აქვს,“** - წერს ჯოზეფ დული.

როგორც წერილშია ნათქვამი, ევროპარლამენტი თავისუფალი, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი დემოკრატიული ინსტიტუტია. დულის თქმით, ევროპარლამენტი, ევროკავშირის ინსტიტუტები და წევრი სახელმწიფოები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში განვითარებულ მოვლენებს ობიექტურად აფასებენ. **„ივანიშვილმა უნდა მიიღოს კრიტიკა და გაიაზროს, რომ ყველაფერს ვერ იყიდი. ევროპარლამენტი, ევროკავშირის ინსტიტუტები და წევრი სახელმწიფოები ობიექტურად აფასებენ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში განვითარებულ მოვლენებს. სამწუხაროდ, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბოლოდროინდელი განცხადებები იმ შეშფოთებასა და შიშს ადასტურებს, რასაც ევროკავშირის ინსტიტუტები და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები პრემიერ-მინისტრისა და მისი მთავრობის მიმართ გამოთქვამენ,“** - ნათქვამია „ევროპის სახალხო პარტიის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

დული ასევე აღნიშნავს, რომ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ შესაძლო სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების საკითხი პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლო სისტემის არსებობას ადასტურებს.

„ეს ორი ელემენტი - ბრალდებები ევროპარლამენტარების წინააღმდეგ და შერჩევითი სამართალი - მკვეთრად ეწინააღმდეგება საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესს, რომლის მხარდაჭერასა და ხელშეწყობასაც ითხოვს საქართველოს მოქმედი ხელისუფლება. პრემიერმა ივანიშვილმა უნდა გაიაზროს, რომ მას არ შეუძლია ორი სხვადასხვა გზავნილის გაგზავნა - ერთი საქართველოსთვის და ერთი ევროკავშირისთვის. „ევროპის სახალხო პარტია“ ყოველთვის მხარს უჭერდა საქართველოს ევროკავშირთან დაახლოებას. „ევროპის სახალხო პარტია“ მხარს უჭერს ასოცირების შეთანხმების პარაფირებას, მაგრამ, ისევე როგორც უკრაინის შემთხვევაში, ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა და მისი განხორციელება დემოკრატიული სტანდარტებისა და ძირითადი ფასეულობების პატივისცემით უნდა იყოს განპირობებული,“ - ნათქვამია ჯოზეფ დულის განცხადებაში.

საკუთარი ინფორმაცია

საბერძნეთში პარტია „ოქროს განთიადს" დაფინანსება შეუჩერეს

საბერძნეთის პარლამენტმა ულტრამემარჯვენე პარტია «ოქროს განთიადს" სახელმწიფო დაფინანსება შეუჩერა. ამ პარტიის ხელმძღვანელობას იმ დანაშაულებრივ ჯგუფთან კავშირი ბრალდება, რომელიც ტერორისტულ საქმიანობას ეწევა. «ოქროს განთიადის" ლიდერი ნიკოლას მიხალოლიაკოსი და პარტიის კიდევ ორი წევრი პატიმრობაში იმყოფებიან და სასამართლოს გადაწყვეტილებას ელოდებიან. ისინი ანტიფაშისტი მუსიკოსის პავლოს ფისსასას მკვლელობის შემდეგ დაიჭირეს, რომელიც 18 სექტემბერს დანით მოკლეს. ის პირი, რომელიც პოლიციამ ფისსასის მკვლელობის გამო დაიჭირა, აცხადებს რომ «ოქროს განთიადის" მხარდამჭერია. თუმცა, პარტიის ლიდერები მასთან რაიმე კავშირს უარყოფენ.

რუსეთში პოლიგონზე აფეთქებას ექვსი მედესანტე ემსხვერპლა

რუსეთში, ფსკოვთან ახლოს პოლიგონზე მომხდარ აფეთქებას ექვსი ჯარისკაცი ემსხვერპლა. დაშავდა ორი სამხედრო მოსამსახურე. წინასწარი ინფორმაციით, აფეთქდა საბრძოლო მასალა. „რია ნოვოსტის" ინფორმაციით, მომხდარის ადგილზე საჰაერო-სადესანტო ჯარების ხელმძღვანელი, გენერალ-პოლკოვნიკი ვლადიმერ შამანოვი ჩავიდა. ფსკოვის ოლქში კურსანტები სტაჟირებას გადიოდნენ.

საუდის არაბეთი ამერიკას აფრთხილებს

ირანისა და სირიის მიმართ ბარაკ ობამას პოლიტიკით უკმაყოფილო საუდის არაბეთის სამეფო ოჯახი ამერიკასთან ურთიერთობის გაუარესებით იმუქრება. საუდის არაბეთის დაზვერვის შეფმა პირობა დადო, რომ სამეფო გადახედავს ურთიერთობას ამერიკასთან, რომელიც სირიის კონფლიქტში უმოქმედობას იჩენს, ირანთან კი ურთიერთობას «აწყობს", - ამის შესახებ «როიტერს" საუდის არაბეთის პოლიტიკოსებთან დაახლოებულმა წყარომ აცნობა. პრინცმა ბანდარ ბინ სულთანმა ევროპელ დიპლომატებს განუცხადა, რომ ამერიკამ ვერაფერი მოიმოქმედა სირიის პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის წინააღმდეგ ან ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის დასარეგულირებლად, თუმცა თეირანთან კავშირებს აძლიერებს. პრინცმა თურქი ალ-ფაისალმა კი სირიის მიმართ ობამას პოლიტიკას «სამწუხარო" უწოდა, რუსეთ-ამერიკის შეთანხმებას კი სირიის ქიმიური იარაღისაგან გათავისუფლების შესახებ - სასაცილო. მისი თქმით, ეს ხრიკი იყო, რათა ობამას სირიაში სამხედრო ჩარევა აეცილებინა თავიდან.

ცოტა ხნის წინ საუდის არაბეთმა გაეროს უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრობაზე უარი განაცხადა, რის მიზეზადაც ამ ორგანოს არაეფექტურობა და ორმაგი სტანდარტები დაასახელა ისეთ კონფლიქტებში, როგორიც, მაგალითად, სირიის ან პალესტინა-ისრაელის კონფლიქტია.

ევროკავშირი-თურქეთის მოლაპარაკებები ნოემბერში განახლდება

«სამწლიანი პაუზის შემდეგ ევროკავშირსა და თურქეთს შორის მოლაპარაკებები მალე განახლდება და მე სწრაფი და მტკიცე პროგრესის იმედი მაქვს," - ამის შესახებ სამშაბათს ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლინას ანტანას ლინკევიჩიუსმა განაცხადა. დიპლომატის თქმით, სამ წელზე მეტხანს მოლაპარაკებების განახლება იმის გამო გაჭიანურდა, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის უთანხმოება არსებობდა. «EUobserver"-ის ცნობით, ევროკავშირის წევრი ქვეყნები უკვე შეთანხმდნენ, რომ თურქეთთან მოლაპარაკებები 5 ნოემბრისთვის განახლდება. ეს თავდაპირველად 2013 წლის ივნისში იგეგმებოდა, თუმცა თურქეთში ფართომასშტაბიანმა გამოსვლებმა ხელი შეუშალა.

ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები 2005 წელს დაიწყო, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყანამ კანდიდატის სტატუსი ჯერ კიდევ 1999 წელს მიიღო. ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად, რომელიც ამ ორგანიზაციაში თურქეთის გაწევრიანებას უშლის ხელს, კვიპროსთან უთანხმოებაა. არსებული ინფორმაციით, ნოემბერში თურქეთთან მოლაპარაკებები უმთავრესად რეგიონულ პოლიტიკასა და სტრუქტურულ ინსტრუმენტებს შეეხება. გასულ კვირაში ევროპის კომისიის მიერ გამოქვეყნებულ მოხსენებაში ნათქვამია, რომ რეგიონულ პოლიტიკაში თურქეთს მნიშვნელოვანი წინსვლა აქვს. ასევე, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მთავრობა პოლიტიკური და დემოკრატიული რეფორმების განხორციელებისთვისაც მოწადინებულია. თუმცა, ადამიანის უფლებები კვლავ ქვეყნის უმთავრეს გამოწვევად რჩება.

ონიშჩენკოს თანამდებობიდან უშვებენ

«როსპოტრებნადზორის" ხელმძღვანელ გენადი ონიშჩენკოს გადადგომა, რომელიც თავად ონიშჩენკოსთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, დე ფაქტოდ მოხდა, თუმცა შესაფერისი დოკუმენტისთვის ჯერ ხელი არ მოუწერიათ. გადაწყვეტილება მიღებულია და რამდენიმე დღეში, პრემიერ-მინისტრ დმიტრი მედვედევის რუსეთში დაბრუნების შემდეგ გაფორმდება. ამის შესახებ «ვედომოსტის" ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა განუცხადა. ონიშჩენკოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შესახებ განცხადება ვიცე-პრემიერმა ოლგა გოლოდეცმა ორი დღის წინ გააკეთა. გოლოდეცის პრესსამსახურმა «კომერსანტს" დაუდასტურა, რომ ონიშჩენკოს უფლებამოსილების ვადა 21 ოქტომბერს ამოიწურა. როგორც „დოჟდი" აღნიშნავს, ონიშჩენკო უკვე 17 წელია, რუსეთის მთავარი სანიტარია, ის 9 წელია, რაც «როსპოტრებნადზორს" უდგას სათავეში. ამასთან გენადი ონიშჩენკო 63 წლისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ სამი წლის წინ იგი ფორმალურად პენსიონერი გახდა და ამის შემდეგ ერთწლიანი კონტრაქტით აგრძელებდა მუშაობას. ონიშჩენკოს ყოველ დაბადების დღეზე (21 ოქტომბერს) კონტრაქტს აგრძელებდნენ, ამ წელს კი - აღარ გაუგრძელებიათ.

მოამზადა თამთა კახაძემ

აშშ საფრანგეთში ჯაშუშობის მასშტაბებს უარყოფს

ივა შილაკაძე

ჯონ კერი და ლორან ფაბიუსი

ვაშინგტონი და პარიზი კვლავ განიხილავენ იმ უხერხულ სიტუაციას, რომელიც «მონდის" პუბლიკაციების შემდეგ შეიქმნა, სადაც აშშ-ს ეროვნული უშიშროების სააგენტოს მიერ საფრანგეთის ტერიტორიაზე მილიონობით სატელეფონო ზარის მოსმენაზე იყო საუბარი. ამას გარდა, ამერიკელებს «ბრალი ედებათ" ვაშინგტონში საფრანგეთის საელჩოსა და გაეროში საფრანგეთის წარმომადგენლობის მოსმენაში. მსგავსი პრაქტიკა ამერიკის სხვა მოკავშირე სახელმწიფოების წინააღმდეგაც გამოიყენებოდა, მათ შორის დასახელებულია ბრაზილია და ევროკავშირი, დაუზუსტებელი ინფორმაციით, გერმანიაც.

«მონდში" და ევროპის სხვა გაზეთებში ყველა ეს მასალა გაქცეული და დევნილი აგენტის ედუარდ სნოუდენის მიერ მედიისთვის გადაცემულ ცნობებზე დაყრდნობით ქვეყნდება. ამჟამად «მონდის» მთავარი წყაროა «გარდიანის" ან უკვე ყოფილი ჟურნალისტი გლენ გრინვალდი, რომელიც ამჟამად ბრაზილიაში იმყოფება და იქიდან მედიასაშუალებებს ცნობებს «დოზირებულად" აწვდის. «24 საათი" უკვე წერდა, რომ გრინვალდმა ცოტა ხნის წინ მიიღო სარფიანი წინადადება და «გარდიანს" ტოვებს. მანამდე მასზეც იყო ზემოქმედების მცდელობა. ლონდონში, ფაქტობრივად, მაშინვე, როცა სნოუდენის მიერ გავრცელებული მასალების პუბლიკაცია დაიწყო, გაზეთის რედაქციაში სპეცსამსახურების წარმომადგენლები მივიდნენ და გრინვალდი მოიკითხეს. თუმცა რედაქციაში განუმარტეს, რომ გრინვალდი ამერიკაში ცხოვრობს და მუშაობს, გაზეთში კი მისი მასალები პირდაპირ ამერიკული ფილიალიდან ხვდება. შემდეგ ლონდონში აეროპორტში რამდენიმე საათით დააკავეს და გაჩხრიკეს გლენ გრინვალდის ბრაზილიელი პარტნიორი მამაკაცი, რაც ასევე მედიამ გრინვალდზე და თავისუფალ პრესაზე ზეწოლის მცდელობად აღიქვა.

«მონდში» კვლავ დაიბეჭდა სტატია, რომელიც აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს მიერ ფრანგი დიპლომატების საუბრების მოსმენას ეხებოდა. ამაზე მინიშნება ზაფხულშიც იყო, თუმცა ამჟამად «ჯაშუშური სქემა» უფრო დაწვრილებით არის ჩამოყალიბებული. გრინვალდის და სნოუდენის თანახმად, არსებობდა მაღალტექნოლოგიური პროგრამა «ჯინი» (Genie), რომელიც საშუალებას იძლეოდა, კომპიუტერებში დისტანციურად ჩაეტვირთათ ჯაშუშური პროგრამები, მათ შორის, უცხოეთის სახელმწიფოთა საელჩოებში. ზოგადად, ეს სქემა საკმაოდ დაწვრილებით არის აღწერილი, თუმცა ის ფართო მკითხველისთვის ნაკლებად საინტერსოა. «მონდის» თანახმად, იყო სპეციალური ოპერაციებიც - გაეროში საფრანგეთის წარმომადგენლობის (კოდური სახელი «Blackfoot»-ი) და ვაშინგტონში საფრანგეთის საელჩოს (კოდური სახელი «Wabash»-ი) მოსასმენად. ამ ოპერაციებს კონკრეტული მიზანიც ჰქონდა. ამერიკელებს აინტერესებდათ, წინასწარ გაეგოთ საფრანგეთის პოზიცია ირანის წინააღმდეგ სანქციების შემოღებაზე. ვაშინგტონში ნერვიულობდნენ, რომ საფრანგეთი და ბრაზილია, თითქოს, ამ სანქციების წინააღმდეგნი იყვნენ. საქმე ის არის, რომ გაუგებრობა არ მომხდარა - საფრანგეთმაც და ბრაზილიამაც აშშ-ს პოზიციას სრულად დაუჭირეს მხარი. თუმცა სტატიაში მოყვანილია გაეროში აშშ-ს მაშინდელი წარმომადგენლის (ახლა აშშ-ს პრეზიდენტის მრჩეველის უშიშროების საკითხებში) სიუზან რაისის სიტყვები, როცა ის მადლობას უხდის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს მოკავშირეთა და მოწინააღმდეგეთა პოზიციების წინასწარ მინოდებისთვის.

გუშინ სპეციალური განცხადება გააკეთა აშშ-ს ეროვნული დაზვერვის ხელმძღვანელმა ჯეიმს კლეპერმა. მან საფრანგეთის ტერიტორიაზე სატელეფონო ზარების «მონიტორინგი» კატეგორიულად უარყო. კლეპერის თქმით, «მონდის» ამასწინანდელი პუბლიკაციები მცდარ ინფორმაციას შეიცავს, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება უცხოეთში აშშ-ს დაზვერვის საქმიანობის შესახებ.» მისივე სიტყვებით, სიმართლეს არ შეესაბამება ინფორმაცია, რომ აშშ-მ საფრანგეთში 70 მილიონზე მეტ სატელეფონო ზარზე შეაგროვა ინფორმაცია, თანაც ერთ თვეში. კლეპერი ამტკიცებს, რომ აშშ იმავე ტიპის სადაზვერვო მონაცემებს აგროვებს, როგორსაც სხვა სახელმწიფოები. (ამ სკანდალზე უკვე სამი დღეა, დაწვრილებით წერს «24 საათი»).

თუმცა კლეპერს არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს მიერ ვაშინგტონსა და პარიზში ფრანგი დიპლომატების საუბრების მოსმენის შესახებ.

სამშაბათს ეს უხერხული თემა ლონდონში განიხილეს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორან ფაბიუსმა და აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ, რომლებიც ერთმანეთს «სირიის მეგობარი სახელმწიფოების» კონფერენციის ფარგლებში შეხვდნენ. ამ კონფერენციას დღევანდელი გაზეთის სხვა სტატიაში უფრო დაწვრილებით შევეხებით, ხოლო კერი-ფაბიუსის ორმხრივ შეხვედრაზე ამ უკანასკნელმა აშშ-ს სახელმწიფო მდივანს პრეზიდენტ ოლანდის მიერ ბარაკ ობამასთვის ნათქვამი ფრაზა გაუმეორა: «მსგავსი შპიონაჟი, განხორციელებული ასეთი მასშტაბით ამერიკელების მიერ მოკავშირე სახელმწიფოების მიმართ, დაუშვებელია». ლორან ფაბიუსსმა ამის გამო განმარტება ჯონ კერისგანაც მოითხოვა.

ფრანგული პრესა განსაკუთრებით აღშფოთებულია იმ ფაქტით, რომ აშშ შპიონაჟს ზოგადად არ უარყოფს და არც მისი შეწყვეტის პირობას იძლევა. განცხადებებიდან ნათლად ჩანს, რომ ამიერიდან ამერიკელები, უბრალოდ, საფრანგეთის ხელისუფლებას მეტ ოპერაციებს «შეუთანხმებენ».

ლორან ფაბიუსმა განაცხადა: «საჭიროა, დავრწმუნდეთ, რომ მსგავს ქმედებებს აღარ აქვს ადგილი». მისი სიტყვებით, საფრანგეთის პრეზიდენტი ოლანდი პერსონალური მონაცემების დაცვის თემას 24-25 ოქტომბერს ევროპის სამიტზე წამოჭრის.

«თავისთავად ცხადია, რომ ახალი საკომუნიკაციო ტექნოლოგიები რეგულირებას მოითხოვს და ეს ყველა ქვეყანას ეხება. აბსოლუტურად დაუშვებელია, რომ საფრანგეთის მეგობარი სახელმწიფო საფრანგეთის წინააღმდეგ დაზვერვას ეწეოდეს და ასევე სხვა ევროპულ სახელმწიფოებს თვალყურს ადევნებდეს,» - თავის მხრივ განაცხადა საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა მანუელ ვალსმა.

„ჟენევა 2„-ის ჩატარების თარიღი კვლავ გაურკვეველია

პირველი გვერდიდან

მანამდე პარიზში შედგა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის შეხვედრა არაბულ სახელმწიფოთა ლიგის ელჩებთან. ამ შეხვედრებზე დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა გააკრიტიკეს როგორც ასადის, ასევე სირიის ოპოზიციის მიდგომები, რომლებიც საკმაოდ საეჭვოს ხდის სირიის შესახებ ჟენევაში სამშვიდობო კონფერენციის უახლოეს ხანში ჩატარებას, კონკრეტულად და სირაში მშვიდობის დამყარებას, ზოგადად.

წინა დღეებში სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა ტელეარხ „ალ მაიადინს" ინტერვიუ მისცა, რომელშიც 2014 წელს დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაც არ გამორიცხა. ამას გარდა, ინტერვიუში ასადმა თქვა, რომ „ჟენევა 2"-ში ოფიციალური დამასკო მონაწილეობას მიიღებს, თუმცა ჯერ ბევრი რამ არის გასარკვევი, მათ შორის თარიღიც. ნათლად გამოჩნდა ისიც, რომ ამ კონფერენციაზე რამე სერიოზული გარღვევის მიღწევას ასადი არ ვარაუდობს. მან დასავლეთის და არაბულ სახელმწიფოთა უმრავლესობის პოზიციებიც მკაცრად გააკრიტიკა. მისი აზრით, სირიის კონფლიქტი თვით სირიელებმა უნდა გადაწყიტონ და არა სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა. ასადმა მკაცრად გააკრიტიკა არაბულ სახელმწიფოთა ლიგაც და მათ დასავლეთის ინტერესების გამტარებლები უწოდა. სირიის პრეზიდენტს არ ესმის, როგორ შეიძლება ამ სამშვიდობო კონფერენციაში მონაწილეობდნენ, მაგალითად, საუდის არაბეთისა და კატარის წარმომადგენლები, რომლებიც სირიელ ამბოხებულებს, მათ შორის ისლამისტებს, იარაღით და ფულით ეხმარებიან.

ჟენევის სამშვიდობო კონფერენცია, რომელიც მაისის შემდეგ რამდენჯერმე გადაიდო, ბოლო წინასწარი შეთანხმებით, 23-24 ნოემბერს უნდა ჩატარებულიყო, თუმცა უკვე ყველა აღიარებს, რომ ამ თარიღისთვის მისი მომზადება ვერ მოესწრება.

ასადის მომავალი საპრეზიდენტო ამბიციების კომენტირებისას აშშ-ს სხელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ ჯერ კიდევ პარიზში განაცხადა, რომ თუ ასადი პრეზიდენტად დარჩება, სირიაში სამოქალაქო ომი ნამდვილად ვერ დამთავრდება. ჟენევის კონფრენციის მთავარი მიზანი სწორედ გარდამავალი მთავრობის შექმნაა, რომელშიც, დასავლეთის სახელმწიფოთა ღრმა რწმენით, ასადის ადგილი არ არის.

ლონდონში ჩატარებულ შეხვედრაში მონაწილეობდნენ 11 სახელმწიფოს წარმომადგენლები. კერძოდ - აშშ-ს, გაერთიანებული არაბული საამიროების, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, ეგვიპტის, იორდანიის, იტალიის, კატარის, საფრანგეთის, საუდის არაბეთისა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრები. როგორც ზემოთ ვწერდით, მიწვეულნი იყვნენ სირიის ოპოზიციის წარმომადგენლებიც.

მასპინძლის, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ უილიამ ჰეიგის აზრით, ამ ომით გატანჯული სახელმწიფოს სათავეში ექსტრემისტების მისვლის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ზომიერი ოპოზიციის გაძლიერება. ჰეიგის სიტყვებით, ამ კონფლიქტში სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებენ „ალ ქაიდასთან" დაკავშირებული ისლამისტები. „რაც მეტხანს გრძელდება კონფლიქტი, იგი მით უფრო რადიკალურ ხასიათს იძენს. სწორედ ამიტომ ვცდილობთ ჟენევაში სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესის განახლებას."

ამ ეტაპზე ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ პრობლემად რჩება სირიის ოპოზიციის დათანხმება სამშვიდობო კონფრენციაში მონაწილეობაზე. ისლამისტი რადიკალები არანაირ მოლაპარაკებებში არ მონაწილეობენ და მათ არც იწვევენ კონსულტაციებზე. პრობლემა გახდა ის, რომ „ჟენევა 2"-ში მონაწილობაზე უარს აცხადებს შედარებით ზომიერი „სირიის ეროვნული საბჭო" და ეროვნული კოალიციაც. მის ლიდერს ახმედ ჯარბას რადიკალური პოზიცია უკავია და სამშვიდობო კონფერენციამდე ასადის გადადგომას მოითხოვს. ჯარბა აცხადებს, რომ მათ სირიელი ხალხი, ვინც სისხლს ღვრის, ასადთან მოლაპარაკებას არ აპატიებს.

ამ რადიკალურ პოზიციას არც დასავლეთი იზიარებს. უილიამ ჰეიგმა განაცხადა, რომ ჟენევის სამშვიდობო კონფერენციის გასამართად სულაც არ არის საჭირო ასადის გადადგომა. ჰეიგი მომავალ მთავრობაში ასადის ადგილს ვერ ხედავს, თუმცა ამის მიღწევა მოლაპარაკებებით შეიძლება. მანამდე აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმაც, როდესაც სირიის ოპოზიციას მიმართავდა, თქვა: თქვენ შეგიძლიათ, ბევრი ისეთი რამ მოიგოთ მოლაპარაკებების მაგიდასთან, რაც ბრძოლის ველზე ბევრი სიცოცხლის და დროის დაკარგვად დაგიჯდებათ". კერი კონფერენციაზე ასადის წარმომადგენლებსაც ელოდება და იმასაც იმედოვნებს, რომ მათი „პატიოსანი მიზნები" ექნებათ.

დღე სახელად ფანი არდანი

პირველი გვერდიდან

მასტერკლასზე დასწრება ნებისმიერ მსურველს შეუძლია, აი, „აკვიატებული რითმების“ ნახვა კი მხოლოდ მოსაწვეეების ბედნიერ მფლობელებს.

„აკვიატებული რითმები“ საოჯახო დრამა გახლავთ: მარგო და ფურიო იყრებიან. ფურიო ძველი სასტუმროს რესტავრაციისთვის მიემგზავრება, მარგო კი მის დაბრუნებაზე იწყებს მუშაობას, რისთვისაც ბევრი დაბრკოლების გადალახვა მოუწევს. საბოლოოდ ყველაფერი ლაგდება, რაც რეაბილიტირებული სასტუმროს საზეიმო გახსნისას ხდება. ფილმში მთავარ როლებს აზია არჯენტო და ნუნიო ლოპესი ასრულებენ, ხოლო მეორეხარისხოვან როლებში ფრანკო ნერო, რიკარდო პერეირა, მომღერალი მიკა და ისევ და ისევ ჟერარ დეპარდიე გვევლინებიან.

როგორც ფრანგული კინოს ყველა ვარსკვლავმა, ჟერარ დეპარდიესთან თანამშრომლობას ვერც ფანი არდანმა აუარა გვერდი. შეიძლება თქვას, რომ პირველი სერიოზული კინოგანაცხადიც სწორედ ამ მსახიობთან შეწყვილებულმა გააკეთა - 1981 წელს ფრანსუა ტრუფოს ფილმში „მეზობლები“. ვისაც ეს ფილმი ნანახი აქვს, ალბათ არ გაუკვირდება, რომ ფანი არდანი მაშინვე იქცა ვარსკვლავად (ამ როლისთვის „ცეზარიც“ აქვს მოპოვებული), თანამშრომლობას კი ფრანგული და ევროპული კინოს უდიდესი რეჟისორები სთავაზობდნენ. მაგალითად, კლოდ ლელუში, რომელმაც იმავე 1981 წელს გადაიღო ფილმში „ერთნი და სხვები“, შემდეგ ალენ რენემ ათამაშა 1983 წლის ფილმში „ცხოვრება რომანია“, ისევ ფრანსუა ტრუფომ „მხიარულ კვირადღეში“, ფოლკერ შლენდორფმა დიდებულ „სვონის სიყვარულში“ და ასე შემდეგ.

შეიძლება ითქვას, რომ 80-იანი წლები ფანი არდანის კარიერის პიკი იყო. მას ერთმანეთის მიყოლებით იღებდნენ კოსტა გავრასი, ალენ რენე, ეტორე სკოლა, 90-იანებიდან კი თანამშრომლობა დაიწყო ანიეს ვარდასთან („ასი და კიდევ ერთი ღამე“. კიდევ ერთი ფილმი ჟერარ დეპარდიესთან ერთად), სიდნი პოლაკთან („საბრინა“), მიქელანჯელო ანტონიონისთან („ღრუბებს მიღმა“), პარტის ლეკონტთან („დაცინვა“) და შაკჰარ კაპურთან, რომელმაც გახმაურებულ „ელისაბედში“ შოტლანდიის დედოფალ მარია დე გიზის როლი ათამაშა.

2000-იან წლებში ფანი არდანს არც ისე ბევრი კარგი ფილმი აქვს, თუ არ ჩავთვლით ფრანკო ძეფირელის მუსიკალურ ფილმს „კალასი სამუდამოდ“ (ამ ფილმში არდანმა კიდევ ერთხელ ითამაშა „სვონის სიყვარულის“ პარტნიორ ჯერემი აირონსთან) და ფრანსუა ოზონის შესანიშნავ „8 ქალს“.

2011 წელს ფანი არდანმა სატელევიზიო ფილმ „რასპუტინში“ იმპერატრიცა ალექსანდრას როლი შეასრულა, რასპუტინს, ცხადია, მისი ძველი მეგობარი ჟერარ დეპარდიე თამაშობდა, ხოლო ვლადიმირ მაშკოვი ნიკოლოზ II-ს. ფილმს განსაკუთრებული აღიარება არ მოჰყოლია, თუმცა მისით, უფრო კი ფილმის სამსახიობო ანსამბლით, ირაკლი კვირიკაძე დაინტერესდა და მათი მონაწილეობითა და საკუთარ სცენარის მიხედვით ამავე სახელწოდების ფილმი გადაიღო. კვირიკაძის „რასპუტინის“ პრემიერა წლევანდელ მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე გაიმართა, მისი გაქირავება კი მიმდინარე წლის ნოემბრიდან იწყება, თუმცა ჯერჯერობით მხოლოდ რუსეთის კინოეკრანებზე.

ამჯერად ფანი არდანის, როგორც მსახიობის, უკანასკნელი ფილმია მარიონ ვერნუას „საუკეთესო დღეები წინაა“ და მიხაელ შტურმინგერის „ჯაკომოს ვარიაციები“, რომელშიც ფრანგი მსახიობის პარტნიორი ჯონ მალკოვიჩი გახლავთ და რომელიც ეკრანებზე მხოლოდ მომავალ წელს გამოვა.

რაც შეეხება ფანი არდანის სარეჟისორო კარიერას, „აკვიატებული რითმები“ მისი მესამე ნამუშევარია. 2009 წელს „ფერფლი და სისხლი“ გადაიღო, ხოლო სამი წლის წინ მოკლემეტრაჟიანი „გაუჩინარებული ქიმერები“.

„საქართველოს მარგალიტები“ ერთ დისკში



ნინო სურგულაძე

ლადო ათანელი

ანა წულუკიძე

საქართველოს მარგალიტები“ - ასე დაარქვეს პროექტს, რომლის ავტორობასაც „ბრავო რექორდსისა“ და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მუსიკალური გადაინაწილებენ. პროექტი გულისხმობს მსოფლიოში აღიარებული თითქმის ყველა ქართველი საოპერო მომღერლის მიერ შესრულებული მუსიკალური ნაწარმოებების (საოპერო არიების) გაერთიანებას და ერთ ალბომად გამოცემას.

ალბომში შესული იქნება ცნობილი ქართველი მომღერლების მიერ შესრულებული საოპერო ნაწარმოებები სიმფონიური ორკესტრის თანხლებით. საოპერო მომღერლების სიაში შედიან შემსრულებლები: ნინო სურგულაძე, პაატა ბურჭულაძე, ქეთევან ქემოკლიძე, ანიტა რაჭველიშვილი, გიორგი გაგნიძე, ლადო ათანელი, გია ონიანი, ნინო მაჩაიძე, თამრიკო ჯავახიშვილი (ივერი), იანო ალიბეგაშვილი, ნუგზარ გამგებელი,მზია ნიორაძე, თეა დემურიშვილი, ზურაბ სოტკილავა, ბადრი მაისურაძე და მაყვალა ქასრაშვილი. შესრულდება ჯუზეპე ვერდის, ჯაკომო პუჩინის, რუჯერო ლეონკავალოს, ჯოაკინო როსინის, ზაქარია ფალიაშვილისა და სხვა ცნობილი კომპოზიტორების მუსიკალური ნაწარმოებები.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საოპერო მომღერალი ძირითადად საზღვარგარეთის სცენებზე მოღვაწეობს. ჩვენი ვალია მათი შემოქმედება ამ ალბომის სახით საგანძურად დარჩეს მომავალ თაობებს როგორც ოქროს ფონდი და ქართული მუსიკალური კულტურის რელიქვია.“ - აღნიშნავენ ბრავო რექორდსში.“

მუსიკალური ნაწარმოებები თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სიმფონიური ორკესტრის თანხლებით მაღალი ხარისხის სტანდარტებით „ბრავო რექორდსის“ სტუდიაში ეტაპობრივად ჩაიწერება. პროექტს მთავარი დირიჟორი ჯანლუკა მარჩანო უხელმძღვანელებს.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს სტუდიური ჩაწერების დაგეგმვა და ალბომის დიზაინზე მუშაობა. სამომავლოდ იგეგმება ალბომის პრეზენტაცია კონცერტის სახით, რომელიც თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის შენობის გახსნას დაემთხვევა. პრეზენტაცია-კონცერტზე საოპერო მომღერლები ცოცხლად შეასრულებენ ალბომში შესულ მუსიკალურ ნაწარმოებებს სიმფონიური ორკესტრის თანხლებით დირიჟორი ჯანლუკა მარჩანოს ხელმძღვანელობით.

25 ოქტომბერს, 13 საათზე გაიმართება პროექტთან დაკავშირებული პრესკონფერენცია. „ბრავო რექორდსში“ მედიის წარმომადგენლებს პროექტის შესახებ ინფორმაციას გააცნობს:

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი: გურამ ოდიშარია. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე: ბადრი გრუზინსკი. პროექტის იდეის ავტორი: ლელა მჭედლიძე. ღონისძიებებისა და რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტის დირექტორი: მარინა ბერიძე. საოპერო მომღერლები: ნინო სურგულაძე, ლადო ათანელი, თეა დემურიშვილი და მზია ნიორაძე. და ბოლოს, „ბრავო რექორდსის“ პრეზიდენტი: ზაზა შენგელია.

გურჯაანის მუნიციპალიტეტი აცხადებს
ღ ი ა ა უ ქ ც ი ო ნ ს

ღია აუქციონზე, საოფისე საქმიანობისთვის, სამი წლის ვადით, იჯარით გასაცემად გამოტანილი იქნება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული - ქ. გურჯაანში, ნონეშვილის ქ.N4-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში განთავსებული შემდეგი არასაცხოვრებელის ფართები:

II სართულზე

- 43კვმ არასაცხოვრებელი ფართი; წლიური საიჯარო ქირა - 602 (ექვსას ორი)
ლარი,"ბე" - 181 (ას ოთხმოცდა ერთი) ლარი;
- 27 კვმ არასაცხოვრებელი ფართი; წლიური საიჯარო ქირა - 378 (სამას სამოცდა
თვრამეტი) "ბე" - 113 (ას ცამეტი) ლარი;
- 15,1 კვმ არასაცხოვრებელი ფართი; წლიური საიჯარო ქირა - 211 (ორას
თერთმეტი) ლარი, "ბე" 63 (სამოცდა სამი) ლარი;
- 30,6 კვმ არასაცხოვრებელი ფართი; წლიური საიჯარო ქირა - 429 (ოთხას ოცდა
ცხრა) ლარი, "ბე" 129 (ას ოცდა ცხრა) ლარი;

III სართულზე

- 63 კვმ არასაცხოვრებელი ფართი; წლიური საიჯარო ქირა - 882 (რვაას
ოთხმოცდა ორი) ლარი, "ბე" 265 (ორას სამოცდა ხუთი);
- 16 კვმ არასაცხოვრებელი ფართი; წლიური საიჯარო ქირა - 224 (ორას ოცდა
ოთხი) "ბე" 67 (სამოცდა შვიდა) ლარი;
- 15,1 კვმ არასაცხოვრებელი ფართი; წლიური საიჯარო ქირა - 211 (ორას
თერთმეტი) "ბე" 63 (სამოცდა სამი) ლარი;
- 62,7 კვმ არასაცხოვრებელი ფართი; წლიური საიჯარო ქირა - 878 (რვაას
სამოცდა თვრამეტი) ლარი, "ბე" - 263 (ორას სამოცდა სამი) ლარი;
- 28 კვმ არასაცხოვრებელი ფართი; წლიური საიჯარო ქირა - 392 (სამას
ოთხმოცდა თორმეტი) "ბე" - 118 (ას თვრამეტი) ლარი.

IV სართულზე

- 16,5კვმ არასაცხოვრებელი ფართი; წლიური საიჯარო ქირა - 231 (ორას ოცდა
თერთმეტი) ლარი, "ბე" - 69 (სამოცდა ცხრა) ლარი;
- 31,4კვმ არასაცხოვრებელი ფართი; წლიური საიჯარო ქირა - 440 (ოთხას
ორმოცი) ლარი, "ბე" - 132 (ას ოცდა თორმეტი) ლარი;
- 15,1კვმ არასაცხოვრებელი ფართი; წლიური საიჯარო ქირა - 211 (ორას
თერთმეტი) ლარი, "ბე" - 63 (სამოცდა სამი) ლარი;
- 16,8კვმ არასაცხოვრებელი ფართი; წლიური საიჯარო ქირა - 235 (ორას ოცდა
თხუთმეტი) ლარი, "ბე" - 71 (სამოცდა თერთმეტი) ლარი;
- 15,1კვმ არასაცხოვრებელი ფართი; წლიური საიჯარო ქირა - 211 (ორას
თერთმეტი) ლარი "ბე" - 63 (სამოცდა სამი) ლარი;
- 16,8კვ არასაცხოვრებელი ფართი; წლიური საიჯარო ქირა - 235 (ორას ოცდა
თხუთმეტი) ლარი, "ბე" - 71 (სამოცდა თერთმეტი) ლარი;
- 28,6კვმ არასაცხოვრებელი ფართი; წლიური საიჯარო ქირა - 400 (ოთხასი)
ლარი, "ბე" - 120 (ას ოცი) ლარი;
- 15,1კვმ არასაცხოვრებელი ფართი; წლიური საიჯარო ქირა - 211 (ორას
თერთმეტი) ლარი, "ბე" - 63 (სამოცდა სამი) ლარი;
- 15,7კვმ არასაცხოვრებელი ფართი; წლიური საიჯარო ქირა - 220 (ორას ოცი)
ლარი; "ბე" - 66 (სამოცდა ექვსი) ლარი.

სავაჭრო ბიჯის ოდენობა განისაზღვროს საწყისი საიჯარო ქირის 10 %.
აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება - 50 ლარი.
საბანკო რეკვიზიტებია - ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში, სახაზინო კოდი - "ბე" -
N300503212, ბილეთის ღირებულება - 300503282.
აუქციონში მონაწილეთა განცხადებები მიიღება - 2013 წლის 24 ოქტომბრიდან, 2013 წლის 8 ნოემბრის ჩათვლით, 15 საათამდე.
აუქციონი გაიმართება 2013 წლის 8 ნოემბერს, 17 საათზე.

უქციონში მონაწილეობის წესი:

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი იჯარით გაცემისას 25%-ზე ნაკლებია.
აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი (შემდგომში "მონაწილე") აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:
a) განაცხადს, შევსებულს დამტკიცებული ფორმის მიხედვით, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, მუნიციპალური ქონების დასახელებასა და საწყის ფასზე, "ბე" და ბილეთის ღირებულების დამადასტურებელ ქვითრებს, რომელიც შეიტანება მითითებულ საბანკო რეკვიზიტებზე.

B გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემებს;
d) ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
e) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლს;
"მოიჯარე" აუქციონის მონაწილეთა რეგისტრაციის ჟურნალში წარმოდგენილი დოკუმენტების რეგისტრაციის მომენტიდან, იღებს "მონაწილის ბილეთს" და ღებულობს მონაწილის სტატუსს.
აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია - "მოიჯარის" მიერ ქონების იჯარით ასაღებად მაქსიმალური თანხის (არანაკლებ საწყისი თანხისა) გადახდა.
აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს სრული საიჯარო ქირა.
დამატებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ მისამართზე: ქ. გურჯაანი ნონეშვილის გამზირი N13, გამგეობის შენობის მესამე სართული, ოთახი N1.
ტელეფონი: 599852243 599852265
გურჯაანის მუნიციპალიტეტი.

მოწვევა ინტერესის გამოხატვაზე
(საკონსულტაციო მომსახურება - კომპანიების შერჩევა)
საქართველო
რეგიონული განვითარების პროექტი - P126033
სესხის ნომერი: **8148-GE**

დავალების სახელწოდება: კახეთის რეგიონში ტურისტულ სექტორში მუშახელის განვითარებისა და უნარჩვევების გაძლიერების საკონსულტაციო მომსახურება
საიდენტიფიკაციო ნომერი: IBRD/RDP/CS/CQS/01-2012-1

საქართველომ მიმართა მსოფლიო ბანკს რეგიონული განვითარების პროექტის დასაფინანსებლად. აღნიშნული სახსრების ნაწილის გამოყენება დაგეგმილია საკონსულტაციო მომსახურებისთვის.

საკონსულტაციო მომსახურება ("მომსახურება") მოიცავს ინტეგრირებული შრომითი რესურსების განვითარების პროგრამის შემუშავებას, რომელიც გამიზნული იქნება ტრეინინგის არსებული და მომავალი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ყველა დონეზე, ტურიზმისა და მასთან დაკავშირებული ბიზნესების და ორგამნიზაციებისათვის კახეთის რეგიონში. კონსულტანტი განახორციელებს ქვემოთმოყვანილ ძირითად დავალებებს:
I- საჭიროებების შეფასება
- გაანალიზებულ იქნას ტურიზმის ინდუსტრიის სხვადასხვა სექტორის ბაზრის საჭიროებები და მოთხოვნილებები .
- განსაზღვრულ იქნას ტრეინგის საჭიროებები თითოეული გეგმური დისციპლინისათვის .

II- შრომითი რესურსების განვითარების შეფასება
- ჩატარდეს ტურიზმის ინდუსტრიის შრომის ბაზრის შეფასება
- ჩატარდეს პოტენციური ადგილობრივი საგანმანათლებლო პროფტექნიკური განათლების მომწოდებელთა შესაძლებლობების შეფასება.

III- ტურიზმის შრომითი რესურსების სამოქმედო გეგმის რეკომენდირება
- მომზადდეს მოთხოვნილების მიხედვით განსაზღვრული ტრეინინგების უზრუნველყოფის დეტალური სამუშაო გეგმა მომდევნო 2-3 წლისათვის.
- შეირჩეს საუკეთესო ტრეინინგის უზრუნველმყოფი დაწესებულება/ცენტრი, რომელიც ჩაატარებს სხვადასხვა ტიპის ტრეინინგებს; მათთან ერთად საბოლოო სახით შემუშავდეს წლიური სამუშაო გეგმა და ხარჯთაღრიცხვები.

IV- შერჩევითი ტრეინინგის საქმიანობების განხორციელება
- შერჩევითი სტრატეგიული ტრეინინგის კურსების ჩატარება შერჩეული ტურისტული საქმიანობების ქვემოთმოყვანილი ოთხი ჯგუფისათვის: ტურისტების მასპინძლობის მენეჯმენტი (სასტუმროების, კურორტებისა და დიდი რესტორნების მენეჯმენტი); ტურისტულ მარშრუტებში შეტანილი მეღვინეობის ობიექტების მენეჯმენტი; გიდების სამსახური; და ტურისტულ მარშრუტებში შეტანილი კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების და დაცული ტერიტორიების მენეჯმენტი და ოპერატორები.

ამ დავალებების მოსალოდნელი შედეგები ქვემოთ არის მოყვანილი:
- შრომითი რესურსების სფეროში არსებული ჩავარდნების უკეთესად გააზრება, რაც მოიცავს მათ უნარ-ჩვევებს, რაოდენობას და განათლების უზრუნველყოფის შესაძლებლობას.
- კახეთისა და თბილისის ტრეინინგის უზრუნველმყოფი დაწესებულებების უნარიანობის გაუმჯობესება, რათა მოწოდებული იქნას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აკადემიური ტრეინინგი ტურისტების მასპინძლობის მენეჯმენტში, მარკეტინგში, კლიენტების მომსახურებაში, კულტურული მემკვიდრეობის პრეზენტაციასა და გიდების სამსახურში და ასევე სხვა სახის ტურიზმთან დაკავშირებულ მენეჯერულ საქმიანობაში.
- კახეთის სამ ტურისტულ კლასტერთან (კულტურული მემკვიდრეობა, ღვინის ტურიზმი და ეკოტურიზმი/სათავგადასავლო მარშრუტები) დაკავშირებული ცოდნის მნიშვნელოვანწილად გაღრმავება სასტუმროებისა და რესტორნების თანამშრომლების, ტუროპერატორებისა და გიდებისათვის და ასევე სხვა ტურიზმში დასაქმებული კლიენტებთან მომუშავე და შეხებაში მყოფი პერსონალისათვის.

მოცემული დავალების სავარაუდო ხანგრძლივობაა 18 თვე. სავარაუდო დაწყების თარიღი კი 2014 წლის იანვარი.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო კომპანიებს (კონსულტანტებს") ზემოთ ხსენებული მომსახურების განხორციელებაზე ინტერესის გამოსახატავად. დაინტერესებული კონსულტანტები ვალდებულები არიან წარმოადგინონ მომსახურების განხორციელებისთვის აუცილებელი მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის და სათანადო გამოცდილების დამადასტურებელი ინფორმაცია. საბოლოო სიისთვის შესარჩევი კრიტერიუმებია:
? მსგავსი ხასიათის დასრულებული საკონსულტაციო კონტრაქტები ბოლო 7 წლის განმავლობაში (ე.ი. 2006 წლის იანვრიდან). შეფასება განხორციელდება შესაბამისი საკონსულტაციო კონტრაქტების ფასის და რაოდენობის კომბინაციის საფუძველზე.
? კონსულტანტის ზოგადი გამოცდილება.

დაინტერესებული კონსულტანტები ვალდებულები არიან ყურადღება გაამახვილონ შემდეგი დოკუმენტის 1.9 პარაგრაფზე: მსოფლიო ბანკის *სახელმძღვანელო დებულებები:*
კონსულტანტების შერჩევა და დასაქმება რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხებისა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში, მსოფლიო ბანკის სესხის ამღებთა მიერ - 2011 წლის იანვარი. (კონსულტანტის სახელმძღვანელო დებულებები") ასახავს მსოფლიო ბანკის პოლიტიკას ინტერესთა კონფლიქტთან მიმართებაში.

კონსულტანტები შესაძლებელია გაერთიანდნენ სხვა კომპანიებთან. (გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმას წარმოადგენს შვილობილი საკონსულტაციო კომპანია (ქვე-კონსულტირება) ან ერთობლივი საწარმო. შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის დროს, აუცილებელია გაერთიანების ტიპის გარკვევით აღნიშვნა. კონსულტანტის კორპორატიული გამოცდილების შეფასების პროცესში, შვილობილი კომპანიების (ქვე-კონსულტანტების)გამოცდილება მხედველობაში არ მიიღება).

კონსულტანტის შერჩევა მოხდება კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დაფუძნებული შერჩევის მეთოდის გამოყენებით, შემდეგი დოკუმენტის 3-ე ნაწილში ჩამოყალიბებული მეთოდის შესაბამისად: *მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელო დებულებები: კონსულტანტების შერჩევა და დასაქმება რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხებისა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში, მსოფლიო ბანკის სესხის ამღებთა მიერ - 2011 წლის იანვარი.*

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მგფ-ს შესყიდვების განყოფილებაში, ქვემოთ მითითებულ მისამართზე, 10:00-დან 18:00 საათამდე; ტელ: + 99532 2437001, შიდა ნომერი: 409, ნატა პეიტრიშვილი, შესყიდვების სამმართველოს სპეციალისტი.
ქვემოთ მითითებულ მისამართზე ინტერესის გამოხატვა უნდა მოხდეს წერილობითი ფორმით (პირადად, ფოსტის, ფაქსის, ან ელ. ფოსტის საშუალებით) არა უგვიანეს **2013 წლის 15 ნოემბრის 18:00 საათისა.**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
ბ-ნი ელგუჯა ხოკრიშვილი, მგფ-ს აღმასრულებელი დირექტორი
მის: დ. აღმაშენებლის გამზ. N150, თბილისი 0112, საქართველო
ტელ: +99532 2437001ა6/02/03/04
ფაქსი: +99532 2437077;
ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

ქართული სპორტული ალპინიზმის 90 წლის იუბილე

პირველი გვერდიდან

სტუმრებმა მოისმინეს მოხსენება მთამსვლელობის 90-წლიან სპორტულ ისტორიაზე, მის მიღწევებზე.

გამომსვლელები ცდილობდნენ ნაკლებად გაემახვილებინათ ყურადღება ალპინიზმში არსებულ დღევანდელ პრობლემებზე - საიუბილეო საღამოა და სჯობს პრობლემებზე მოგვიანებით ვიმსჯელოთო. თუმცა, ერთ რამეს მაინც აღნიშნავდნენ: ქართული ალპინიზმი ერთ დიდ ოჯახად უნდა შეიკრას და არ იყოს დაქსაქსულობა. ისიც ითქვა, უფრო სწორად, მოწოდებასავით გაიჟღერა, ალპინიზმმა მომავალშიც რომ იარსებობს, ამისთვის საჭიროა, შვილები, შვილიშვილები გავუშვათ მთაშიო.

ღონისძიების სტუმრებმა საჩუქრად მიიღეს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერითა და ავთანდილ გურასაშვილის ავტორობით გამოცემული წიგნი „მყინვარწვერიდან ევერესტამდე“, რომელიც მოგვითხრობს ქართულ ალპინიზმზე დასაბამიდან დღემდე.

„საქართველოს სპორტის რაინდის“ წოდება მიენიჭათ

1. აფი გიგანი - „თოვლის ჯიქი“, ევერესტზე პირველამსვლელი ქართული ჯგუფის წევრი
2. რომან გიუტაშვილი - სპორტის ოსტატი, „თოვლის ჯიქი“, ევერესტზე პირველამსვლელი ქართველი
3. ბიძინა გუჯაბიძე - „თოვლის ჯიქი“, ევერესტზე პირველამსვლელი ქართული ჯგუფის წევრი
4. ლევ სარქისოვი - „თოვლის ჯიქი“, ევერესტზე პირველამსვლელი ქართული ჯგუფის წევრი
5. ბენო ქაშაკაშვილი - ევერესტზე პირველამსვლელი ქართული ჯგუფის ხელმძღვანელი; პირველი და დღემდე ერთადერთი ქართველი, რომელმაც ყველა კონტინენტის უმაღლესი მწვერვალი დალაშქრა

„საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის“ წოდება მიენიჭათ

1. ბესარიონ ბაქრაძე - საქართველოს მეკლდეურთა თითქმის ყველა შეჯიბრების მსაჯი და ერთ-ერთი ორგანიზატორი
2. გიორგი ბერძენიშვილი - სპორტის ოსტატი, არაერთი ალპინისტური ექსპედიციის ხელმძღვანელი
3. ნოდარ კანკავა - საქართველოს ალპური კლუბის ერთ-ერთი დამფუძნებელი და დირექტორი
4. ლუიზა ნარიმანიშვილი - საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი მთამსვლელი ქალი 1960-70-იან წლებში
5. ზაურ ჩართოლანი - მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი
6. ივანე ჯაფარიძე - მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ალ.ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბის ყოფილი დირექტორი
7. ვლადიმერ ქურასბედიანი - მთამსვლელობასა და მეკლდეურობაში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, ალპური ბანაკის „ზესხოს“ დირექტორი
8. პირიბე გვარლიანი - სპორტის ოსტატი, მიხეილ ხერგიანის ჯგუფის უცვლელი წევრი
9. ზურაბ კუჭავა - საქართველოს მთამსვლელთა და მეკლდეურთა ასოციაციის პრეზიდენტი

სამინისტროში ხელბურთელთა ნაკრებს უმასპინძლეს

სპორტისა და ახალგაზდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა და მოადგილე თამაზ თევზაძემ ხელბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას და ხელბურთელთა ეროვნულ ნაკრებს უმასპინძლეს.

ჟურნალისტებისთვის გამართული პრესკონფერენცია კი რამდენიმე თემას დაეთმო - საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებს, რომელიც 2015 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩებისთვის ემზადება და 27 ოქტომბერს ყატარში გასამართ ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესს, სადაც 2017 წლის 19-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყნის ვინაობა გაირკვევა. მსოფლიო პირველობაზე განაცხადი შეტანილი აქვთ საქართველოს და ხორვატიას.

ხელბურთელა ნაკრები სერბი თავკაცის ჯორჯ რასიჩის თავკაცობით მოახლოებული მატჩებისთვის თბილისში ემზადება. 26 ოქტომბერს უკრაინაში გაემგზავრება და, 27 და 28 ოქტომბერს, მასპინძელთა ნაკრებთან ორ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს.

ნაკრები 29 ოქტომბერს ვილნიუსში ჩაფრინდება და 30 ოქტომბერს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველ მატჩში ლიტვის ნაკრებს დაუპირისპირდება. 3 ნოემბერს კი, 18:00 საათზე, სპორტის სასახლეში ფინეთის ნაკრებს უმასპინძლებს. ოთხგუნდიანი ჯგუფიდან, რომლის მეოთხე წევრი თურქეთის ნაკრებია, მომდევნო ეტაპზე ერთი საუკეთესო გადის.

საქართველოს ნაკრები

მეკარეები: შოთა თევზაძე, გიგა ტორონჯაძე;

მოედნის მოთამაშეები: სერგო დათუკაშვილი, ვლადიმერ რუსია, რატი მსხვილიძე, რევაზ ჭანტურია, ირაკლი ჩიქოვანი, აკაკი ტალახაძე, ლევან ბერძენიშვილი, ილია გოგალაძე, გიორგი გვაზავა, უჩა გამზარდია, ზურაბ აბრამიშვილი, ოთარ ამირანაშვილი.

მთავარი მწვრთნელი: ჯორჯ რასიჩი

მწვრთნელები: ირაკლი კეკელიძე, ბექა ორჯონიკიძე

ექიმი: ლევან ლინიკი

სამინისტროს პრესსამსახური

მიხეილ გაბრიჩიძე პრეზიდენტობას აპირებს

ნატა დავიდოვი

მიხეილ გაბრიჩიძე 16-წლამდელთა ჩემპიონატის დაჯილდოების დროს

»ჰიუნდაის» ცენტრში ბევრი ცნობილი ვეტერანი მივიდა. «ჰიუნდაის» ცენტრში «ჰიუნდაის» პრეზიდენტი დავით გიორგობიანი სპეციალური ბრიფინგისთვის ემზადებოდა და იქვე, ამ ბრიფინგზე გამოსვლისთვის მზად იყო ამავე კომპანიის მმართველი დირექტორი მიხეილ გაბრიჩიძე. ყველაფერი მზად იყო. ჟურნალისტები ელოდებიან ბრიფინგის დაწყებას და ჟურნალისტები მზად არიან კიდევ ერთი საინტერესო ახალი ამბის მისაღებად. კოხტად მოწყობილ საკალათბურთო კუთხეში იწყება ბრიფინგი და კოხტად მოწყობილმა სალონმა კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებისთვის კიდევ ერთი თემა მიიღო. პრეზიდენტობისთვის ბრძოლას, იქვე, სამწამიანში და პერიმეტრზე, მიხეილ გაბრიჩიძე აპირებს, რომელიც კალათბურთში ბევრს იცნობს. ბრიფინგზე დავით გიორგობიანმა თბილისის კალათბურთის განითარების კავშირისა და საკალათბურთო კლუბ «ჰიუნდაის» ერთობლივი განცხადება წაიკითხა.

ჩვენი ორგანიზაციები ათვითცნობიერებენ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის დამდეგი არჩევნების უდიდეს მნიშვნელობას და ავრცელებენ შემდეგ განცხადებას.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მომავალი არჩევნები საქართველოში კალათბურთის მიმდინარე ეტაპის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა.

ამ პროცესმა მომავალი ოთხი წლის განმავლობაში უნდა განსაზღვროს ფედერაციის მართვის სათავეში მყოფი პიროვნებებისა და იმ გუნდის ვინაობა, თუ ვის ანდობს საკალათბურთო საზოგადოება ჩვენი უსაყვარლესი სპორტის სახეობის მართვას. კალათბურთის მომავალი და პერსპექტივა ჩვენი საერთო საქმის მომავალი და პერსპექტივაა. ეს ჩვენი ცხოვრების დიდი ნაწილია.

ბოლო პერიოდში გავდიოდით კონსულტაციებს საკალათბურთო და ბიზნეს-წრეებთან, სპეციალისტებთან, გულშემატკივართა ჯგუფებთან და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ საკალათბურთო საზოგადოებას და ქართული სპორტის გულშემატკივარს წარვუდგინოთ ჩვენი საერთო კანდიდატი კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე **მიხეილ გაბრიჩიძე**.

მიხეილ გაბრიჩიძე

დაიბადა: 25.02.1966

საკალათბურთო კარიერა:

1973-1981 »ნორჩი დინამოელი».

1981-1987, თბილისის «დინამო».

1981-1983, საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრები.

1987-1991, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

1991-1993, თბილისის «შევარდენი».

1993-1994, თბილისის «მერანი».

1994-1995, სდასუ.

მიხეილ გაბრიჩიძე არის თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირისი ვიცე-პრეზიდენტი და «ჰიუნდაი ავტო საქართველოს» ტოპ მენეჯერი. ეს კომპანია აქტიურად უჭერს მხარს და სპონსორობას უწევს საქართველოს ნაკრებს და საკალათბურთო სკოლა «ჰიუნდაის», მაქსიმალურ ყურადღებას უთმობს ქართულ კალათბურთს.

«ჰიუნდაის» ბავშვთა საკალათბურთო სკოლამ საქართველოს ხუთი ასაკობრივი ჩემპიონატიდან სამი მოიგო. ამ ეტაპზე «ჰიუნდაის» საკალათბურთო სკოლა ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში.

მიხეილ გაბრიჩიძეს, ვეტერან კალათბურთელს, რომელიც აქტიურად არის ჩართული საკალათბურთო საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში, აქვს თავისი პრაგმატული ხედვა და საერთო განვითარების კონცეფცია, აქვს საერთაშორისო და ადგილობრივი ბიზნესის წარმატებული და კვალიფიციური მართვის უდიდესი გამოცდილება.

მიხეილ გაბრიჩიძე კარიერის დასრულების შემდეგ აქტიურად არის ჩართული საკალათბურთო ცხოვრებაში. «ჰიუნდაი» არის ვეტერან კალათბურთელთა ნაკრების გენერალური სპონსორი.

მისი პიროვნული თვისებები კარგად არის ცნობილი საკალათბურთო წრეებისთვის და მისი კანდიდატურა ბევრისთვის მისაღები იქნება.

მხარი დაუჭირეთ მიხეილ გაბრიჩიძის კანდიდატურას, რომელიც მხარს უჭერს საქართველოში კალათბურთის განვითარებას».

მიხეილ გაბრიჩიძე: «მზად ვარ პასუხისმგებლობისთვის და ჩემი გუნდის წევრები მაქსიმუმს აკეთებენ ჩვენი კონცეფციის სისრულეში მოყვანისთვის. ქართული კალათბურთი ვითარდება და ჩვენი მიზანია, რომ მეტი პლუსი, მეტი პერსპექტივა იყოს მომავალში. გვაქვს ჩვენი მიზნები და ვცდილობთ, ქართული კალათბურთი დარჩეს ისევ იმ ოჯახად, რომელიც სითბოს და სიყვარულს აერთიანებს. გვაქვს წარმატება და გვაქვს სურვილი, მეტს მივაღწიოთ. ბოლო დროს საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით ხმაურია ატეხილი. ისედაც პატარა ოჯახი ვართ და არ არის საჭირო კონფლიქტური სიტუაციის შექმნა. არ არის საჭირო უმნიშვნელო დეტალებზე ყურადღების გამახვილება. უკეთესია, ყველა ის ნაკლი, რაც მიგვაჩნია, რომ ნაკლია, ერთად გამოვასწოროთ. მზად ვარ ვემსახურო ქართულ სპორტს, ქართულ კალათბურთს. ეს ჩვენი ოჯახი, ჩვენი საერთო საქმეა. კალათბურთში მხოლოდ მეგობრები მყავს და მსურს, ეს მეგობრობა ისევ და ისევ საერთო საქმეს წაადგეს. ქართული კალათბურთი პროგრესირებს და კომპანია «ჰიუნდაი» ამისთვის მაქსიმუმს აკეთებს. ჩვენი კომპანიის პრეზიდენტი, ბატონი დავით გიორგობიანი, კალათბურთის დიდი გულშემატივარია და ცდილობს, ეს სითბო სპორტის ამ სახეობის განვითარებას მოახმაროს. დამიჯერეთ, იმაზე სასიამოვნო არაფერია, როდესაც აკეთებ იმას, რაც გიყვარს და თან ბევრ ადამიანს ეხმარები.»

კიდევ ერთხელ გავიაროთ ის, რაც აქამდე ვთქვით - »ჰიუნდაის» ცენტრში ბევრი ცნობილი ვეტერანი მივიდა. «ჰიუნდაის» ცენტრში «ჰიუნდაის» პრეზიდენტი დავით გიორგობიანი სპეციალური ბრიფინგისთვის ემზადებოდა და იქვე, ამ ბრიფინგზე გამოსვლისთვის მზად იყო ამავე კომპანიის მმართველი დირექტორი მიხეილ გაბრიჩიძე. ყველაფერი მზად იყო. ჟურნალისტები ელოდებიან ბრიფინგის დაწყებას და ჟურნალისტები მზად არიან კიდევ ერთი საინტერესო ახალი ამბის მისაღებად. კოხტად მოწყობილ საკალათბურთო კუთხეში იწყება ბრიფინგი და კოხტად მოწყობილმა სალონმა კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებისთვის კიდევ ერთი თემა მიიღო. პრეზიდენტობისთვის ბრძოლას მიხეილ გაბრიჩიძე აპირებს.


PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN
ELITE MODEL LOOK CASTING 2013
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE
21 JULY KUTAISI Opera House 14:00 - 17:00
23 JULY GORI Gamarjveba Movie Theatre 14:00 - 16:00
26 JULY GURJAANI Cultural Centre 14:00 - 16:00
29 JULY ZUGDIDI Art Gallery 14:00 - 17:00
17 AUGUST BATUMI Hotel Intourist 14:00 - 17:00
18 AUGUST OZURGETI Theatre Hall 14:00 - 16:00
07 SEPTEMBER TBILISI Tbilisi Mall 14:00 - 18:00
elite 2013
MODEL LOOK
GEORGIA
MODEL MANAGEMENT
MUSIC BOX
kikala studio
MAX
OUtdooR.ge
MSG
ADSSPRINT
McCANN
Curves
myVIDEO.GE
LUXURY
ego
GHN
ANGEL
24 საათი
allMovies.ge
Pink